ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი — კვირა, 10 — 11 დეკემბერი, 2016
№293 (7218)
ფასი: 50 თეთრი

## თელავში ბავშვებს საკვები შეუმცირეს?



გვ.4

9 დეკემბრიდან
აირა ლევინი
როზმარის შვილი
ფასი გაზეთთან ერთად 13 ლარი




# „ნარმანია უგულავას გვერდით უნდა იჯდეს!“





## მამუკა გამყრელიძე: „ვიზალიბერალიზაცია კარგია, მაგრამ ხალხს ევროპაში წასასვლელი ფული არ აქვს“

გვ.2





## ქუცნაშვილს ფრაქციის შექმნაზე უარს ეუბნებიან, ტრიპოლსკი პარტიიდან მიდის

გვ.3



### უთანხმოება „ქართულ ოცნებაში“

საკუთარი ფრაქციების შექმნა სურთ სოციალ-დემოკრატებსა და კონსერვატორებს. არც ერთსა და არც მეორეს ფრაქციების შესაქმნელად საჭირო რაოდენობის ხალხი არ ჰყავს

## ლევან ალაფიშვილი: „ქართული ოცნების“ ახალი სახეები პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევას უჭერენ მხარს“



გვ.3

„არ მაქვს მოლოდინი, რომ ახალი კონსტიტუცია შეიქმნება“

## „ყველას მოვუწოდებ, ფრთხილად იყოს!“



გვ.6

მამუკა ხაზარაძე ბანკების მიმართ ბრალდებებს პასუხობს

ISSN 1987-9385

## ბრიტანელი ექსპერტები: რუსეთი ეკონომიკურად გაკოტრებულია




გვ.4

## სომხეთი საქართველოს ულტიმატუმს უყენებს



გვ.2

# მამუკა გამყრელიძე:
# „ნარმანია უგულავას გვერდით უნდა იჯდეს!“

## „ვიზალიბერალიზაცია კარგია, მაგრამ ხალხს ევროპაში წასასვლელი ფული არ აქვს“

ნონა ცაბაძე



**ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო მამუკა, ხელისუფლება აცხადებს, რომ ყველა დაბრკოლება დაძლეულია და ახალი წლიდან უვიზო მიმოსვლა იქნება შესაძლებელი. როგორია თქვენი შეფასებები ამ საკითხთან დაკავშირებით?***

– პროცესი არ არის საბოლოოდ დასრულებული. ამ კუთხით ძალიან დიდი ნაბიჯი გადაიდგა. თუ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, ეს, პირველ რიგში, ეხება მედიათავისუფლებას. თუ კიდევ რაღაც ახალი შეტევა არ მოხდა რუსთავი 2-ზე, ვიზალიბერალიზაციას მივიღებთ ყველა შემთხვევაში. ეს, თავისთავად, კარგია, მაგრამ, ფული თუ არ გაქვს, ვერსად გახვალ.

ჩვენი შემოსავლები ლარშია, თუ მოგვინდება სადღაც გასეირნება ევროპაში, ცხადია, ლარი უნდა გადავიყვანოთ ევროებში. ბოლო პერიოდში ლარი ევროსთან 30%-ით გაუფასურდა. შესაბამისად, ევროპაში წასვლის საშუალება შეგვეზღუდა. ვიზალიბერალიზაცია კარგია, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს შემოსავლებს უნდა შევხედოთ.

***– ეკონომიკაზე საუბრობთ და კულუარებში საუბრობენ იმის თაობაზეც, რომ, შესაძლოა, დღის წესრიგში ეკონომიკური გუნდის შეცვლის საკითხი დადგეს. ამბობენ, რომ კვირიკაშვილსა და ქუმსიშვილს შორის დაპირისპირებაა. უნდა ველოდეთ ცვლილებებს?***

– ჩემამდეც მოვიდა ინფორმაცია ქუმსიშვილსა და პრემიერს შორის არსებული დაპირისპირების შესახებ. ეს ძალიან სამწუხაროა, იმიტომ, რომ ეს ორი ადამიანი ერთი გუნდის წევრებად განიხილებოდნენ. ვერ გეტყვით, რამ გამოიწვია ეს პროცესი. ორივე ადამიანი ძალიან დაახლოებულია ივანიშვილთან. რაღაც შიდა პროცესებთან გვაქვს საქმე. იქ რა იხარშება, ჩემთვის უცნობია.

შიგნიდან ასევე გამოვარდა ჭორი, რომ კალაძე შეიძლება დანიშნონ შინაგან საქმეთა მინისტრად. მირჩევნია, ისევ ენერგეტიკის მინისტრად რჩებოდეს, ვიდრე ასეთი მნიშვნელოვანი პოსტი ჩააბარონ. სამწუხაროდ, ფაქტია, რომ შიგნით ყველაფერი რიგზე ვერ არის.

***– ოპტიმიზაციის მიზნით სამინისტროებში სერიოზული შემცირებები იწყება. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ პროცესისადმი?***

– უპირველეს ყოვლისა, მივესალმები შემცირებას. თუ ეს მართლა მოხდა, თუ ასეთი მკვეთრი ნაბიჯი გადადგა მთავრობამ, მივესალმები ამ გადაწყვეტილებას და ვფიქრობ, რომ ეს იქნება ძალიან სწორი, ძალიან დროული და სალი გადაწყვეტილება. როდესაც შემოსავლები გიმცირდება, ამ დროს გაუგებარი ნაბიჯები კი არ უნდა გადადგა, არამედ ხარჯების რაციონალური შემცირება უნდა დაიწყო. ბიუჯეტის შეკვრა სხვანაირად შეუძლებელია.

***– ეყოფა ამ ნაბიჯის გადადგმა ჩვენს ბიუჯეტს?***

– საკითხავია, ეყოფა თუ არა. მეორე საკითხია ისიც, რომ ეს გამოიწვევს გარკვეულ სოციალურ უკმაყოფილებას, მაგრამ, რას ვიზამთ. თავის დროზე არ უნდა წასულიყვნენ ამაზე, უაზროდ რომ გაზარდეს ჩინოვნიკების შტატები იმისთვის, რომ საკუთარი მომხრეები დაეკმაყოფილებინათ. ხელფასებიც ძალიან მნიშვნელოვნად არის შესამცირებელი.

***– ვის გაუშვებენ, მათ მიერ მოყვანილ კადრებს თუ ძველებს?***

– რა თქმა უნდა, თავიანთ მომხრეებს დატოვებენ. უკვე მიმდინარეობს ეს პროცესი. მომდის ინფორმაციები, რომ ძველი და პროფესიონალი კადრების გაშვება იგეგმება, რადგან ისინი ნაციონალების დროსაც იქ მუშაობდნენ. განსაკუთრებით თავდაცვის სამინისტროში მიმდინარეობს ეს პროცესი. მიმდინარეობს ძლიერი პროფესიონალების შემცირება.

***– მხოლოდ თავდაცვის სამინისტროში?***

– რატომ ხდება ასე განსაკუთრებულად თავდაცვის სამინისტროში, როცა კულტურის სამინისტროს უფრო სჭირდება შემცირება?! უსარგებლო ხალხით არის გამოტენილი! რეინტეგრაციის სამინისტრო რომ ავიღოთ, საერთოდ საჭირო არ არის ეს სამინისტრო! ეს ოპტიმიზაცია უნდა მოხდეს წინასწარ გათვლილი გეგმის მიხედვით და არა – სპონტანურად, რომ 30% ადგე და გაუშვა და მთლიანად გაყარო ძველი თანამშრომლები. ზოგადად ძველ თანამშრომლებზე დგას ხოლმე ეს სამინისტროები. მათ უკვე გავლილი და ნასწავლი აქვთ ყველაფერი.

***– მხოლოდ ოპტიმიზაციის პროცესი უშველის ჩვენს ეკონომიკას?***

– აქ ორმხრივი პროცესი უნდა მიმდინარეობდეს. ერთი მხრივ, უნდა შემცირდეს ხარჯები და ასევე უაზრო ხარჯები არ უნდა იყოს თუნდაც ჯანდაცვის სამინისტროში, რომელიც მხოლოდ სოცუზრუნველყოფის სამინისტროდ გადაიქცა. უაზროდ ხარჯები სერიოზულ ტვირთად აწვება ბიუჯეტს და ქვეყანას განვითარების საშუალებას არ აძლევს. ამხელა სოციალური ხარჯები მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაიღონ. ხარჯები უნდა შემცირდეს! ან თუნდაც სოფლის მეურნეობაში გადაყრილი მილიონობით ლარის გამო ძალიან მკაცრად უნდა მოეთხოვოთ პასუხი მაშინდელ პრემიერ ივანიშვილსა და ღარიბაშვილს.

***– თქვენი აზრით, ეს თანხები გადაყრილია?***

– ჰაერში გაუშვეს ეს ხვნაზე წასული მილიონები! სად წავიდა ეს ფული, რატომ წავიდა?! სადმე გამოჩნდა? აისახა?! არამიზნობრივად ხდება ბიუჯეტის ხარჯვა! თუნდაც თბილისის მერია ავიღოთ. მე, მაგალითად, ქალაქის მერს დავაპატიმრებდი! კი არ მოვხსნიდი, დავაპატიმრებდი!

***– რატომ, რა დაგიშავათ?***

– რასაც ის ჩადის, მხოლოდ მატერიალური კი არა, უმძიმესი დანაშაულია! მას აუცილებლად უნდა მოეთხოვოს პასუხი. თუ გიგი უგულავა ზის ციხეში ფინანსური დარღვევების გამო, რატომ არ უნდა იჯდეს ნარმანია?! რატომ არ ვაპატიმრებთ ამ უგვანო, უმსგავს, სრულიად უუნარო და სამარცხვინო მერს?! ჭამა-სმაში გადაყრილია ფული, მაშინ როდესაც ხალხს ასე უჭირს!

ეს არ არის პოპულისტური განცხადებები. ხალხი შიმშილის ზღვარზეა! ამცირებ ხარჯებს სასადილოებისთვის, სადაც მიუსაფარი ხალხი სადილობს, ფულს ჭამა-სმაში ხარჯავ და მიდიხარ იმის სასწავლებლად, ჭამის დროს დანა-ჩანგალი უნდა იხმარო თუ ფიწალი! ეს უკვე კრეტინიზმის დონეა!

***– ფიქრობთ, რომ დადგება ნარმანიას პასუხისმგებლობის საკითხი?***

– ნარმანია გვერდში უნდა მიუსვან გიგი უგულავას და გაცილებით მეტი სასჯელი მისცენ ამ სამარცხვინო საქციელის, იმ ხარჯების გამო, რომლებსაც დღეს მერია ახორციელებს!

# სომხეთი საქართველოს ულტიმატუმს უყენებს

შორენა მარსაგიშვილი

**ლარის დევალვაციით და ეკონომიკური სიდუხჭირით გაწამებული საქართველოს ხელისუფლებამ ფულის საშოვნელად გაზის და ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის აქციების გაყიდვა გადაწყვიტა. გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლება გაზსადენის გაყიდვასაც აპირებს.**



ყოფილი დეპუტატი ანი მიროტაძე ფიქრობს, რომ ამ აქციების მყიდველი ქართველი იქნება. ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი გვარებს არ აკონკრეტებს, თუმცა მედიაში უკვე გაჟღერდა, რომ მყიდველი, შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილი იყოს.

გაზსადენით ჩვენი მეზობელი სომხეთიც სარგებლობს. აქედან გამომდინარე მათთვის სულ ერთი არაა, თუ ვის ხელში აღმოჩნდება ეს სტრატეგიული ობიექტი, ერთ-ერთი ვერსიით, აქციები, შესაძლოა, აზერბაიჯანულმა კომპანია „სოკარმა“ იყიდოს.

ამ ამბავს სომხეთში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. წივილ-კივილი სომხეთის პარლამენტის წევრმა შირაქ ტოროსიანმა ატეხა. რომელიც წარმოშობით ახალქალაქიდან არის. მას სომხეთში ანტიქართული გამოხდომებით იცნობენ.

სომხური გამოცემა „ლრაგირის“ ინფორმაციით, ამ საკითხზე სომხეთის პარლამენტშიც იმსჯელეს, სადაც ქვეყნის პრემიერი კარენ კარაპეტიანი იყო მიწვეული.

ტოროსიანის განმარტებით, საქართველოს ხელისუფლებას განზრახული აქვს აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიას იმ გაზსადენის 25% მიჰყიდოს, რომლის მეშვეობითაც სომხეთი რუსეთიდან ბუნებრივ აირს იღებს.

დეპუტატი დაინტერესდა, რას ფიქრობდა ამაზე სომხეთის აღმასრულებელი ხელისუფლება. მთავრობის მეთაურის კარენ კარაპეტიანის პასუხიდან თუ ვიმსჯელებთ, ოფიციალური ერევანი ამ ამბით შეწუხებულია. ამასთან, იმედი აქვთ, რომ თბილისსა და ბაქოს შორის მოლაპარაკება კრახით დასრულდება.

– მე არ მგონია, რომ გარიგება სწრაფად დასრულდება. გაზსადენის 25%-ით გაყიდვა სომხეთისთვის საფრთხეს არ შეიცავს. ხოლო თუ საქართველო გადაწყვეტს, აზერბაიჯანულ „სოკარს“ გაზსადენი 100 პროცენტით მიჰყიდოს, მაშინ სომხეთს არგუმენტები ექნება, რომ საქართველოს წინააღმდეგ გამოვიდეს, – განაცხადა პარლამენტში პრემიერ-მინისტრმა კარენ კარაპეტიანმა.

მთავრობის მეთაურს არ დაუკონკრეტებია, რა არგუმენტების გამოყენებას აპირებს ოფიციალური ერევანი თბილისის წინააღმდეგ.

იმედია, ამ ულტიმატუმზე კარაპეტიანისგან განმარტებებს საქართველოს ხელისუფლება ოფიციალურად მოითხოვს. ბოლო პერიოდში ოფიციალური ერევანი ოფიციალურ თბილისთან ულტიმატუმის ენაზე საუბარს მიეჩვია. საქართველოს ხელისუფლება ამას რატომღაც გაგებით ეკიდება.

რამდენიმე თვის წინ სომხურმა მხარემ კატეგორიულად მოითხოვა, რომ მათ სატრანსპორტო საშუალებებს როკის გვირაბის გავლით ესარგებლა. ეს მაშინ მოხდა, როცა მეწყრის ჩამოწოლის შემდეგ დარიალის ხეობა ჩაიკეტა.

როკის გვირაბზე ერევანმა თბილისისგან უარი მიიღო. ამის შემდეგ სომხეთმა უკვე დარიალის ხეობაში მოითხოვა სომხური დერეფნის გახსნა, რომლითაც მხოლოდ სომხეთის მოქალაქეები ისარგებლებდნენ.

ოფიციალური ერევანი აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღდგენასაც ითხოვდა. ამ რკინიგზის მეშვეობით სომხეთი მოსკოვთან სარკინიგზო მიმოსვლას აღადგენდა. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ამ თემაზე საქართველო და რუსეთიც აწარმოებენ მოლაპარაკებებს.

ალბათ არც ისაა შემთხვევითი, საქართველოს პარლამენტმა ოკუპაციის კანონის შეცვლაზე რომ დაიწყო საუბარი.

რაც შეეხება გაზსადენს, რომლის გამოც სომხეთი მზადაა, საქართველოს არგუმენტები წარუდგინოს, მისი შეძენით აზერბაიჯანული მხარე სერიოზულად არის დაინტერესებული.

გამოცემა „ლრაგირის“ ინფორმაციით, ოფიციალური ბაქო მზადაა, გაზსადენი მთლიანად იყიდოს. ეს კი სომხებისთვის ლამის ეროვნული ტრაგედიაა.



სომხეთში მიაჩნიათ, რომ თუ აზერბაიჯანი გაზსადენს მთლიანად იყიდის, ის რუსული გაზის სომხეთში მიწოდებას დაბლოკავს. აქედან გამომდინარე ბაქოს ხელში ჩაუვარდება ერევანზე ზეწოლის განხორციელების ბერკეტები.

– სუფთა სამართლებრივი თვალსაზრისით ეს შეშფოთება უსაფუძვლოა, რადგანაც მილსადენის „ხაზეინი“ (ბატონ-პატრონი) საქართველოა და ამ ქვეყნის მთავრობა ვალდებულია, ბუნებრივი გაზის ტრანზიტი უზრუნველყოს, მაგრამ არავინ იცის, რა მოხდება, თუ პოლიტიკური სიტუაცია შეიცვლება, – წერს შეშფოთებული სომხური პრესა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლევან ალაფიშვილი: „ქართული ოცნების“ ახალი სახეები პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევას უჭერენ მხარს“

## „არ მაქვს მოლოდინი, რომ ახალი კონსტიტუცია შეიქმნება“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაზე საუბრობს.**

***— ბატონო ლევან, უკვე ცნობილია, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია პარლამენტთან შეიქმნება და მას პარლამენტის თავმჯდომარე უხელმძღვანელებს. კობახიძე იღებს პასუხისმგებლობას კომისიის მუშაობის შედეგსა და თავად დოკუმენტის შინაარსზე. ამბიციური განაცხადია თუ რეალურად მიღწევადი?***

— სამწუხაროდ, ეჭვი მეპარება, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობამ შეძლოს, ვიწროპარტიულ პოლიტიკაზე ამაღლდეს და გადაწყვეტილება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მიიღოს. პარლამენტის თავმჯდომარის ასეთი მყარი განცხადების საფუძველი სწორედ საკონსტიტუციო უმრავლესობაა, მაგრამ არა მგონია, ისინი მზად იყვნენ შეეჭიდონ ისეთ საკითხებს, როგორიც არის, მაგალითად, ტერიტორიული მოწყობა, ოკუპაციის საკითხები.

ასევე, რას შესთავაზებენ აფხაზებსა და ოსებს, როგორი იქნება პარლამენტის სტრუქტურირება, როგორი იქნება ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსი. ეს ის საკითხებია, რომლებიც სცილდება კონსტიტუციის, როგორც რიგითი სამართლებრივი დოკუმენტის ფარგლებს.

***— ეს არის პოლიტიკური შეთანხმებისა და მოლაპარაკების საგანი აფხაზებთან და ოსებთან, მაგრამ რაღაც ნაბიჯი ხომ უნდა გადაიდგას?***

— რა თქმა უნდა, მაგრამ ეს იქნება ურთულესი და ისინი ვერ იქნებიან ისეთი თამამნი გადაწყვეტილების მიღების დროს, რომ ჩვენ გადაჭარბებული მოლოდინები შევქმნათ. ამიტომ, მე, ნაკლებად მაქვს მოლოდინი, რომ ახალი კონსტიტუცია შეიქმნება და მოქმედი კონსტიტუცია სრულად გადაისინჯება, მიუხედავად მმართველი პოლიტიკური ძალის წინასაარჩევნო დაპირებისა.

მათ პირდაპირ უწერიათ დაპირებებში კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავება-მიღება. ახალი კონსტიტუციის მიღება კი ნიშნავს მთელი სახელმწიფო სეგმენტის ხელახალ გააზრებასა და ახალი მექანიზმის შემუშავებას. მე გამიხარდება, თუკი მხოლოდ საკონსტიტუციო კომისიის ფორმატში იქნება შესაძლებელი ასეთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე კონსენსუსის მიღწევა, მაგრამ ამის საფუძველს დღეს ვერ ვხედავ.

***— ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ მთავარი აქცენტი გაკეთდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე, რომელიც დღეს არ არის დაცული.***

— ვთვლი, რომ ეს იყო პასუხი პრეზიდენტის განცხადებაზე. პრეზიდენტმა თქვა, რომ, შესაძლოა, ვიფიქროთ ფართო კონსენსუსის მიღწევაზე და პრეზიდენტის ჩართულობაზე. არ ველი, რომ არ იქნება კუნთების თამაში, მანიპულირებები, მაგრამ ეს იქნება უპატიებელი თამაში, მით უფრო, თუ სახელმწიფოს ინტერესები არ იქნება გააზრებული და ვიწროპარტიული ინტერესები იქნება ამოსავალი წერტილი.

მაშინ ეს იქნება ერთი ინსტიტუტის, პარლამენტის მიერ მიღებული კონსტიტუცია და არა — საერთო კონსენსუსის შედეგად მიღებული ქვეყნის მთავარი დოკუმენტი. ერთ მხარეს იქნება პარლამენტი და მეორე მხარეს — მოსახლეობის დიდი ნაწილი, ამ მძიმე სოციალურ ფონზე კი ეს, შესაძლოა, სახელმწიფოებრივ პრობლემაში გადაიზარდოს, მაგრამ მე გონიერების მჯერა.

ასევე მჯერა, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში არ იქნება ძალაზე დაფუძნებული მიდგომა და ძირითადი აქცენტი იქნება იმ ხარვეზების გამოსწორებაზე გაკეთებული, რომელთა წინაშეც დგას ჩვენი სახელმწიფო.



***— შეიძლება კვლავ დღის წესრიგში დადგეს პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის საკითხი?***

— კარგია, რომ ამ საკითხზე აქცენტი გააკეთეთ, რადგან ეს არ არის უმნიშვნელო საკითხი. ბატონი ვოლსკი იყო პირველი, ვინც ეს საკითხი გახსნა. ამ საკითხზე თვითონ მმართველ პარტიაშიც არ არის ერთიანი პოზიცია ჩამოყალიბებული. „ქართული ოცნების“ ძველი სახეები პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის გაუქმებას უჭერენ მხარს. ახალი გუნდი კი პირიქით, არსებულ მოდელს უჭერს მხარს ანუ პირდაპირი წესით არჩევას. ამდენად, შეიძლება რთული პროცესის მოწმენი გავხდეთ.

კიდევ ერთი საკითხი ეხება ვადებს. ირაკლი კობახიძემ გვითხრა, რომ აპრილამდეო, ეს ძალიან არასერიოზული განცხადებაა.

***— რატომ? რაღაც დედლაინი ხომ უნდა დასახელებულიყო?***

— იმიტომ, რომ ეს მიუთითებს, რომ ან კონსტიტუციის პროექტი უკვე არსებობს და ფორმალურად აპირებენ პროცედურების გატარებას. აპრილამდე უბრალოდ შეუძლებელია კონსენსუსის მიღწევა ყველა საკითხზე, თუნდაც პროფესიულ წრეებშიც კი.

მზად არის ეს მთავრობა, რომ, მაგალითად, აფხაზებს გაუგზავნოს კონკრეტული გზავნილი და ეს საკითხი დაძრას?! ეს არ არის მარტივი საკითხები. თუ ამ საკითხებს გამოვტოვებთ, მაშინ გამოდის, რომ კონსტიტუციის მხოლოდ სათაურს შევცვლით, ამისთვის კი ამ ძვირფას დროს ნუ დახარჯავენ.

სამ თვეში ამ პროცესის დასრულება წარმოუდგენელია. თან მომავალ წელს, ადგილობრივ არჩევნებთან ერთად გეგმავს კონსტიტუციის შეცვლას პარლამენტი?! არჩევნები და ახალი კონსტიტუციის მიღება შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს, ეს არ იქნება სწორი და კარგი. მე უფრო დინჯი და გონივრული გადაწყვეტილებების მომხრე ვარ, ვიდრე ნაჩქარევი გადაწყვეტილებების. ვურჩევდი, რომ არ იჩქარონ და დრო გააგრძელონ.

# ქუცნაშვილს ფრაქციის შექმნაზე უარს ეუბნებიან, ტრიპოლსკი პარტიიდან მიდის

## უთანხმოება „ქართულ ოცნებაში“

შორენა მარსაგიშვილი

**საკანონმდებლო ორგანოში ფრაქციების შექმნა გრძელდება. ამ პროცესს შესაძლოა დიდი უთანხმოება მოჰყვეს. მიღწეული შეთანხმების თანახმად, ფრაქცია ზაქარია ქუცნაშვილსაც უნდა შეექმნა, მაგრამ ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. არადა პარლამენტში 4 ახალ ფრაქციას ელოდებიან.**

რეგლამენტის თანახმად, საპარლამენტო ფრაქციის შესაქმნელად 6 კაცია საჭირო. ფრაქციების შექმნის მსურველები ახლა საჭირო ხალხის შემოკრებაზე არიან გადასული.





დმანისის, წალკის და კაზრეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა კახა ოქრიაშვილმა ჯერ კიდევ პარლამენტის შეკრებამდე განაცხადა, რომ ჰყავდა თანამოაზრეები და მათთან ერთად შექმნიდა ფრაქციას.

მაჟორიტარმა ამ მიზანს თითქმის მიაღწია. გავრცელებული ინფორმაციით, ამ ფრაქციაში ოქრიაშვილთან ერთად ენზელ მკოიანი, გოგი მეშველიანი, თამაზ ნავერიანი, გიორგი კოპაძე და გოდერძი ჩანქსელიანი გაწევრიანდებიან.

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეობას უმიზნებდა გედევან ფოფხაძე. კომიტეტის თავმჯდომარე ვერ გახდა და, ეტყობა, ფრაქციის თავმჯდომარეობით აპირებს ამ დანაკლისის შევსებას. პარლამენტში ამბობენ, რომ ეს საკითხიც თითქმის გადაწყვეტილია.

საკუთარი ფრაქციების შექმნა სურთ სოციალ-დემოკრატებსა და კონსერვატორებს. არც ერთსა და არც მეორეს ფრაქციების შესაქმნელად საჭირო რაოდენობის ხალხი არ ჰყავს. მიზნის მისაღწევად ისინი უმრავლესობის დეპუტატებთან მართავენ კონსულტაციებს. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი დანაკლისს მეოცნებე მაჟორიტარებით შეავსებენ.

სოციალ-დემოკრატებში, შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილის მეგობარი ირაკლი ტრიპოლსკი შევიდეს. ის პარლამენტში „ქართული ოცნების“ სიით შევიდა, მაგრამ „ოცნებაზე“ ნაწყენია. წინა მოწვევის პარლამენტის მსგავსად, მისთვის კომიტეტი აღარ ჩაუბარებიათ და ძველებურად აღარც მაჟორიტარად წარუდგენიათ.

დუშეთის მაჟორიტარად ზაქარია ქუცნაშვილი იქნა წარდგენილი. ამ რაიონის გარდა, მას თიანეთის და ყაზბეგის რჩეულის ტიტულიც აქვს. სამგზის მაჟორიტარი, როგორც უკვე ვთქვით, საპარლამენტო ფრაქციის შექმნასაც აპირებდა. მაგრამ ამის უფლება რატომღაც არ მისცეს.

პარლამენტში ამ მომენტისთვის 5 საპარლამენტო ფრაქციაა. 2 ფრაქცია ჰყავს „ქართულ ოცნებას“, 2 — ნაციონალურ მოძრაობას და ერთიც — პატრიოტთა ალიანსს.

# ფიქრია ჩიხრაძე ირაკლი კობახიძის წინააღმდეგ



„დასანანია, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ პირველი პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა ფორმალისტური მიდგომებიდან გამომდინარე“

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ახალი საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ მმართველი გუნდის გადაწყვეტილებაში კითხვის ნიშნებს ხედავს.

პრეზიდენტის მრჩევლის, ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, აქ მთავარი ამოცანა იყო, რომ საკონსტიტუციო პროცესი ყოფილიყო მაღალი სანდოობისა და ლეგიტიმაციის მქონე და სწორედ აქედან გამომდინარეობდა პრეზიდენტის შეთავაზება ამ პროცესთან დაკავშირებით.

— ძალიან დასანანია, რომ ის გადაწყვეტილება, რომელიც მმართველმა გუნდმა მიიღო, კიდევ უფრო აჩენს იმ კითხვის ნიშნებს, იმ ეჭვს, რომელიც აქამდე არსებობდა საკონსტიტუციო პროცესისადმი. ის პრაქტიკა, რომელიც არსებობდა მანამდე, წინა ხელისუფლებების პერიოდში, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, იმავე წესით გაგრძელდება, — აცხადებს პრეზიდენტის მრჩეველი.

ჩიხრაძის თქმით, ძალიან დასანანია, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ, ახალგაზრდა პოლიტიკოსმა, პირველი სერიოზული პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა არა ფართო პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, არამედ საკმაოდ ვიწრო, ფორმალისტური მიდგომებიდან გამომდინარე.

— ეს ამ ძალიან მნიშვნელოვან პროცესს სერიოზულად აზარალებს, — აღნიშნავს პრეზიდენტის მრჩეველი.

მისი თქმით, ოფიციალური კონსულტაციები არ გამართულა.

— უკვე გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე ამ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე ჩაგვაყენეს საქმის კურსში. ამას, რა თქმა უნდა, კონსულტაცია ვერ დაერქმევა, რადგან ეს იყო მიღებული გადაწყვეტილების გამოცხადებამდე შეტყობინება, მხოლოდ ასე შეგვიძლია დავაფორმულიროთ, — აცხადებს ქ-ნი ჩიხრაძე.

კითხვაზე, შეიძლება თუ არა მმართველი გუნდის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ჩაითვალოს იმის საფუძვლად, რომ პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ცვლილების მიმართულებით უკვე აქვს გადაწყვეტილება მმართველ გუნდს და, სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც პრეზიდენტი მარგველაშვილი ვერ იქნება თანათავმჯდომარე ამ კომისიაში, ჩიხრაძე პასუხობს, რომ ეს კითხვები აბსოლუტურად ბუნებრივია.

— ჩვენ რომ არ დავიწყოთ მარჩიელობა, რა მიზანი ან განზრახვები აქვს მმართველ პარტიას კონსტიტუციასთან დაკავშირებით, სწორედ აქედან გამომდინარე ვამბობდით ჩვენ, რომ არ გაჩნდეს ასეთი ეჭვები, ისეთი შეკითხვები, როგორიც თქვენ დასვით; ისეთი მოსაზრებები, როგორებიც ისმოდა ამ ხნის განმავლობაში ექსპერტებისგან თუ კონსტიტუციონალისტებისგან, ასევე პოლიტიკური წრეებისგან.

ეს შეკითხვები არის აბსოლუტურად ბუნებრივი იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს ბუნებრივი გამოცდილება ამ თვალსაზრისით წინა კომისიის დროს და ძველი კომისიების მუშაობის დროსაც, — აცხადებს ჩიხრაძე.

პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიას პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე უხელმძღვანელებს. ამის შესახებ განცხადება კობახიძემ 9 დეკემბერს გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

— კომისიის თავმჯდომარე იქნება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. შემადგენლობაში შევლენ როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო პარტიები, ასევე კონსტიტუციური ორგანოს წარმომადგენლები, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და ექსპერტები, — აღნიშნა ბ-მა კობახიძემ.

პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, რომ კომისია მუშაობას შეუდგება მიმდინარე წლის ბოლომდე, და საბოლოო პროექტს შეიმუშავებს მომავალი წლის 30 აპრილამდე, რის შემდეგაც პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა დაიწყება, ასევე საპარლამენტო მოსმენები.

— ჩვენი საბოლოო მიზანია კონსტიტუციის გადასინჯვა ისეთი სახით, რომ უზრუნველყოფილი იყოს კონსტიტუციის სრული შესაბამისობა ფუნდამენტურ პრინციპებთან, მათ შორის ხელისუფლების დანაწილებასთან, რაც დღევანდელი კონსტიტუციით, არ არის დაცული, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

**პირველი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ბრიტანელი ექსპერტები: რუსეთი ეკონომიკურად გაკოტრებულია




მარიამ მჭედლიშვილი

**მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის კონგრესმა კიდევ ერთხელ გამოხატა მხარდაჭერა საქართველოსა და უკრაინის მიმართ და მოიწონა ამ ქვეყნებისათვის თავდაცვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების გამოყოფა, ბევრი რამ ამ მიმართულებით გაურკვეველი რჩება.**

უსაფრთხოებაზე კითხვები ევროპაშიც გაჩნდა. ამ საკითხებს აქტიურად განიხილავენ ევროსტრუქტურებში.

ქართველი ანალიტიკოსები ვერ ამბობენ, თუ როგორ დაიცავს საქართველო თავს რუსეთის შესაძლო ახალი აგრესიისგან, რა მოხდება აფხაზეთში ან რა მოჰყვება გალის სამხედრო ქალაქად გადაქცევას. ოპონენტები ისევ აკრიტიკებენ საქართველოს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკას და აღნიშნავენ, რომ მან ვერ მოახერხა საქართველოს პრობლემების აქტუალიზაცია მსოფლიოში და მათი დაკავშირება უკრაინის პრობლემებთან.

ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, ევროპის უსაფრთხოებასა და რუსეთისაგან დაცვაზე პასუხისმგებელი იყო ნატო. დონალდ ტრამპის არჩევამ სიტუაცია შეცვალა. ნორვეგიული მედიის ცნობით, ბრიუსელის დერეფნებში ორი საკითხი განიხილება — დონალდ ტრამპი და ფული.

დონალდ ტრამპმა არჩევნებამდე განაცხადა, რომ აშშ აღარ გაიღებს ხარჯების არაპროპორციულად დიდ ნაწილს ევროპაში უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. არჩევის შემდეგ მან ევროპელი მოკავშირეების მიმართ კრიტიკა ოდნავ შეარბილა, მაგრამ ევროპაში მაინც დიდი შეშფოთებაა.

ევროპაში უსაფრთხოების ამერიკული გარანტიები უფრო მეტად დასჭირდათ მას შემდეგ, რაც რუსეთმა 2014 წელს ომი დაიწყო უკრაინაში. ბოლო დროს უსაფრთხოების თემით დაკავდა ევროკომისიაც. მისი პრეზიდენტი ჟან-კლოდ იუნკერი სვამს ევროკავშირის ქვეყნების ინტეგრაციული თავდაცვითი პოლიტიკის გატარების საკითხს. მისი გეგმით, ევროპის უსაფრთხოებისთვის უნდა შეიქმნას ორი ფონდი. ერთი კვლევებს ჩაატარებს, მეორე კი ინვესტიციებს მოიზიდავს. გათვალისწინებულია ევროპული თავდაცვის სააგენტოს შექმნა.

შვედეთის მედია საშიშროებას ხედავს იმაში, რომ რუსეთი აფართოებს გაზსადენების ქსელს ბალტიის ზღვაში. ამით რუსეთი აძლიერებს თავის გავლენას ევროკავშირის შუაგულში. რუსეთს არაერთხელ გამოუყენებია გაზი აღმოსავლეთ ევროპაზე პოლიტიკური ზეწოლისთვის. ენერგეტიკული დამოკიდებულება რუსეთზე შეიძლება გახდეს ამ ქვეყნის იარაღი კრიზისების დროს.

— კრემლი ამ გზით ცდილობს რუსეთის, როგორც ენერგიის მსხვილი მომწოდებლის, პოზიციების გამყარებას დასავლეთ ევროპაში და ამ პროცესში გვერდის ავლას აღმოსავლეთი და ცენტრალური ქვეყნებისთვის, — წერს გამოცემა.

ბრიტანელი ექსპერტების გაანგარიშებით, რუსეთი ეკონომიკურად გაკოტრებულია.

მათი შეფასებით, გადაჭარბებული გეოპოლიტიკური ამბიციები ამ ქვეყნისთვის წყევლაა. რუსეთი იმაზე სუსტია, ვიდრე სხვები ფიქრობენ.

სახელმწიფოს საერთაშორისო მნიშვნელობის შეფასებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მისი ეკონომიკის მოცულობა. საქონლისა და მომსახურების წარმოება მიბმულია მათი ექსპორტირების უნართან, ასევე მოგებული თანხებით იმპორტის შეძენის შესაძლებლობასთან.

გამოშვებული პროდუქციის მოცულობით რუსეთი 13-ჯერ ჩამორჩება აშშ-ს და 8-ჯერ ჩინეთს. რბილი და მაგარი ძალის გამოყენება შეუძლია ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც მაღალი მშპ (მთლიანი შინა პროდუქტი) აქვს. რუსეთი ასეთი ქვეყანა არაა.

რუსეთის მიმართ შიში გამოწვეული იმით, რომ ის დაადგა სამხედრო ავანტიურების გზას. ამან კატასტროფამდე მიიყვანა რუსეთის ეკონომიკა — ჯერ დაეცა ნავთობისა და გაზის ფასები, შემდეგ მოხდა რუბლის გაუფასურება, რუსეთის საწინააღმდეგო სანქციებმა კი დააზარალა მისი საგარეო ვაჭრობა და ფინანსური ნაკადები.

ლე მონდი ევროპისთვის საფრთხეს ხედავს აშშ-ის, რუსეთისა და ჩინეთის ლიდერების მოქმედებებში. ფრანგული გაზეთის სიტყვებით, ამ სამეულს მიაჩნია, რომ წარმოადგენს საერთაშორისო თანამეგობრობას:

— სამეულის წევრები დაკავებული არიან საკუთარი გავლენის ზონების დაცვით. მოსკოვში, პეკინსა და ვაშინგტონში ავითარებენ ძველი კეთილი ნაციონალ-ეგოიზმის იდეოლოგიას.

სხვა ექსპერტების აზრით, რუსეთის სამხედრო აგრესია ყველგან გაძლიერდება. მოსალოდნელია რუსეთის სამხედრო ბაზების დაბრუნება კუბასა და ვიეტნამში. კუბასთან რუსეთმა გააფორმა ხელშეკრულება თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

# თელავში ბავშვებს საკვები შეუმცირეს?



— მინდა განვაცხადო სრული სერიოზულობით, რომ არ ვიცი, რომელ ჩინოვნიკს მოუვიდა თავში, თუ ეს რეალობაა, ამ გადაწყვეტილების მიღება. თუ ასეთი ჩინოვნიკი არსებობს, მე მინდა, რომ ის ხვალ აღარ იყოს თავის თანამდებობაზე.

ასე გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, მთავრობის სხდომაზე, ქალაქ თელავის საბავშვო ბაღებში ხორცისა და რძის პროდუქტების შემცირებასთან დაკავშირებით კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.

გიორგი კვირიკაშვილმა საკითხის შესწავლა ჯანდაცვისა და განათლების მინისტრებს დაავალა, ასევე რეაგირებისკენ მოუწოდა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას.

— ცოტა ხნის წინ გავრცელდა თელავის საბავშვო ბაღების სისტემაში კვების რაციონთან დაკავშირებული საკითხის შესახებ ინფორმაცია, რომლის თანახმად, რაციონის გადახედვა მოხდა და ამოღებულ იქნა მნიშვნელოვანი საკვები სახეობები. ეს არის ალბათ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საქმე, მაგრამ მე მინდა ჯანდაცვის და განათლების მინისტრებს ვთხოვო, რომ ჩაერიოთ ამ საკითხში.

თუ ვინმემ ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაცია გაიგო ისე, რომ საბავშვო ბაღებში ბავშვებს რაციონი უნდა შევუმციროთ, ეს არის დანაშაულებრივი გადაწყვეტილება, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

* * *

თელავის საბავშვო ბაღებში ხორცისა და რძის პროდუქტები რომ შეამცირეს, ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრს აღსაზრდელების მშობლებმა აცნობეს. მათი ინფორმაციით, უკვე რამდენიმე დღეა, მენიუში აღარ არის ხორცის გუფთა, ბავშვებს აღარ აჭმევენ ასევე არაჟანსა და ხაჭაპურს. მათივე ინფორმაციით, ხორცის გუფთა ბრინჯიანი სუპით ჩაანაცვლეს, ხაჭაპური კი — ყველიანი მაკარონით.

მენიუში ცვლილებების შესახებ ინფორმაცია კახეთის საინფორმაციო ცენტრთან სატელეფონო საუბარში რამდენიმე საბავშვო ბაღის მენეჯერმაც დაადასტურა. მათი თქმით, მენიუს შეცვლის გადაწყვეტილება საბავშვო ბაღების გაერთიანებამ მიიღო.

თელავის საბავშვო ბაღების გაერთიანების დაქვემდებარებაში 9 საბავშვო ბაღია. გაერთიანების დირექტორმა თეონა მიქელაძემ კახეთის საინფორმაციო ცენტრს თავდაპირველად უთხრა, რომ მენიუ საერთოდ არ შეუცვლიათ, მოგვიანებით კი აღნიშნა, რომ ხორცის გუფთა მენიუდან საბავშვო ბაღების მენეჯერების თხოვნით ამოიღეს.

— გვითხრეს, რომ ბავშვები წვენს ხვრეპდნენ და ხორცის გუფთას არ ჭამდნენ, — აღნიშნა თეონა მიქელაძემ.

პრემიერ-მინისტრის გამოხმაურების შემდეგ, კახეთის საინფორმაციო ცენტრისთვის ცნობილი გახდა, რომ გაერთიანების დირექტორი საბავშვო ბაღების მენეჯერებისგან ინფორმაციის უარყოფას ითხოვს.

თელავის მერის, პლატონ კალმახელიძის, განცხადებით, საბავშვო ბაღების მენიუში ცვლილება კი განხორციელდა, მაგრამ ხორციანი საკვების შემცირება არ მომხდარა.

— ინფორმაცია გავრცელდა არასწორად. ხორცის გუფთას ბავშვები არ ჭამდნენო და ჩაანაცვლეს კატლეტით. ხაჭაპურიც ისევ შედის და არაჟანიც. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვაპირებთ, რომ პრემიერსაც მივწეროთ და მედიასაც ავუხსნათ სიმართლე, — განაცხადა პლატონ კალმახელიძემ.

თელავის საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი თეონა მიქელაძე პლატონ კალმახელიძის მეუღლის, შორენა გრიშიკაშვილის, ახლო მეგობარია.

* * *

კახეთის საინფორმაციო ცენტრმა საბავშვო ბაღების გაერთიანებიდან დოკუმენტაცია წერილობით გამოითხოვა.

თელავის საბავშვო ბაღებიდან მოვიპოვეთ 2016 წლის მენიუ და ამავე წლის დეკემბრის თვის მენიუ ცალკე. თუ 2016 წლის მენიუში, ორშაბათობით, სადილისთვის გათვალისწინებული იყო ბოსტნეულის ბორშჩი, პური, ხორციანი ღვეზელი, კატლეტი პიურეთი, სამშაბათობით კი — წვნიანი გუფთით, პური და ბანანი, დეკემბრის მენიუში ორშაბათობით მხოლოდ ბოსტნეულის ბორშჩი და პურია დარჩენილი, კატლეტი და პიურე სამშაბათს არის გადატანილი, წვნიანი გუფთით კი მენიუში აღარ გვხვდება.

მენიუში დარჩენილია არაჟანიც და ხაჭაპურიც, მაგრამ აღსაზრდელთა მშობლების მტკიცებით, ბავშვებს არც არაჟანი და არც ხაჭაპური რამდენიმე დღეა, აღარ მიეწოდებათ.

საკვების შემცირების შესახებ ინფორმაცია დაადასტურეს საბავშვო ბაღების თანამშრომლებმაც უკვე კონფიდენციალობის პირობით.

***კახეთის საინფორმაციო ცენტრი***

* * *

ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, თელავის რაიონის საბავშვო ბაღების კვების რაციონის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არ დადასტურდა.

როგორც დავით სერგეენკომ აღნიშნა, ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისმა სამსახურებმა ინტენსიურად იმუშავეს და აღმოჩნდა, რომ რამდენიმე საბავშვო დაწესებულებაში მოხდა მენიუს ცვლილება. კერძოდ, დავით სერგეენკოს თქმით, იმ კვირაში გუფთა შეცვალეს კატლეტით. ასევე არ მომხდარა რაციონიდან რძის პროდუქტების ამოღება.

— სკოლამდელ, ისევე, როგორც სასკოლო დაწესებულებებში, კვების ძირითადი ნორმები და პარამეტრები რეგულირდება 2014 წლის 15 იანვრის მთავრობის დადგენილებით, სადაც ძალიან მკაფიოდაა გაწერილი ეს ყველაფერი.

ჩვენ გადავამოწმეთ, კონკრეტულად რა შემთხვევასთან გვქონდა ადგილი თელავის რაიონის შემთხვევაში. საბედნიეროდ, ეს ყველაფერი არ დადასტურდა. კონკრეტულად იქ მოხდა ასეთი რამ — თუკი მთავრობის დადგენილებაში, ან სპეციალისტების რეკომენდაციაში გაწერილია ამა თუ იმ პროდუქტის, მათ შორის, ხორცის, რძის ნაწარმის მინიმალური რაოდენობები დღის განმავლობაში, იქ არ არის გაწერილი კონკრეტული მენიუები. რამდენიმე საბავშვო დაწესებულებაში მოხდა მენიუს ცვლილება. კერძოდ, იმ კვირაში გუფთა შეცვალეს კატლეტით იმიტომ, რომ ბავშვებს ასე ესიამოვნათ. რაც შეეხება რძის პროდუქტების ამოღებას, ეს არ მომხდარა, — განაცხადა სერგეენკომ.

მისივე თქმით, როდესაც ბავშვებს ეხება საკითხი, ნებისმიერი თემა მგრძნობიარეა. აღნიშნულ კონტექსტში, დავით სერგეენკომ მოუწოდა მედიასაშუალებებს, ნუ შეეხებიან ბავშვთა ჯანმრთელობისა და კვების თემას, სანამ არ დარწმუნდებიან იმაში, რომ ეს ობიექტური რეალობაა, რადგან ამას შეიძლება რეაგირების ძალიან დიდი ტალღა მოჰყვეს და ეს იქნება სამართლიანი როგორც მთავრობის, ისე საზოგადოების მხრიდან.

— მეორე მხრივ, ბავშვთა აღზრდის დაწესებულებებს მოვუწოდებ, ძალიან მკაცრად დაიცვან ის რეგლამენტები და რეკომენდაციები, რომლებიც მთავრობის დადგენილებითაა გაწერილი. რაც შეეხება კონკრეტულ საინფორმაციო საშუალებებს, სადაც ეს გავრცელდა, ჩემი მოქალაქეობრივი სათხოვარი იქნება, რომ ჯერ ჩაეხედათ ამ თემაში და შემდეგ დაეწერათ და ახლა კარგს იზამენ, თუ ამ ყველაფრის სწორ, ობიექტურ აღწერას გააკეთებენ და ვფიქრობ, ამ ბავშვების მშობლებს მოუხდიან ბოდიშს ამ მღელვარების გამო, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

***ინტერპრესნიუსი***

# ნოდარ ჯავახიშვილი გენერალური აუდიტის უფროსის მოადგილედ ინიშნება



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი გენერალური აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილედ ინიშნება.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრესსამსახურში განუცხადეს. მათივე ცნობით, ნოდარ ჯავახიშვილის ამ პოსტზე დანიშვნა პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის რეკომენდაციით მოხდა.

მანამდე საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ აუდიტორს ლაშა თორდიას შეხვდა. ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ შეხვედრაზე მხარეებმა მომავალი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

— გენერალურმა აუდიტორმა, ლაშა თორდიამ პარლამენტის თავმჯდომარეს, ირაკლი კობახიძეს, პარლამენტსა და აუდიტის სამსახურს შორის ეფექტურ თანამშრომლობასთან დაკავშირებით საკუთარი ხედვები გააცნო.

გაიმართა კონსულტაციები გენერალური აუდიტის სამსახურის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე არსებულ კანდიდატებთან დაკავშირებით, — ნათქვამია პარლამენტის ვებგვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაში.

***ინტერპრესნიუსი***

# სერგეენკო უარყოფს, რომ ნახევარ მილიონზე მეტ ადამიანს საყოველთაო დაზღვევა აღარ ექნება



ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას, რომ შესაძლოა, ნახევარ მილიონამდე ადამიანი საყოველთაო დაზღვევის გარეშე დარჩეს. დავით სერგეენკოს თქმით, საყოველთაო დაზღვევის მხრივ ფუნდამენტური ცვლილებები არ იგეგმება.

— ბოლო დღეებში გავრცელდა ერთგვარი მღელვარება საზოგადოების ნაწილში, რომ რაღაც ფუნდამენტური ცვლილება ხდება იმ მხრივ, რომ ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი ვეღარ მიიღებს მონაწილეობას.

ის, რომ საყოველთაო ჯანდაცვაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მოქალაქეები, ვისაც არ აქვს კერძო სამედიცინო დაზღვევა, ეს ლოგიკა 2013 წლიდან იყო ჩადებული საყოველთაო ჯანდაცვაში. მთავრობის 36-ე დადგენილებაში, რომელიც არეგულირებს ამ საყოველთაო ჯანდაცვას, 2013 წელს უკვე ეწერა, რომ საყოველთაო ჯანდაცვაში შეუძლია ჩაერთოს მხოლოდ იმას, ვისაც კერძო დაზღვევა არ აქვს. ეს ცალსახად ასეა.

ამის შემდეგ მოხდა მეორე ეტაპი, როდესაც 2014 წლის პირველ სექტემბერს დასრულდა გარდამავალი ეტაპი ადმინისტრირებაში კერძო სადაზღვევო კომპანიებსა და სახელმწიფოს შორის, რომლის თანახმადაც, მოხდა მე-2 განახლება კერძო დაზღვეულების ბაზების. ამის შემდეგ მესამე განახლება ახლა, წლის ბოლოს დასრულდება.

ვიდრე განახლება არ დასრულდება, რჩება ადამიანების რაოდენობა, საბედნიეროდ, არც ისე ბევრი, რომლებიც ორმაგი წყაროთი სარგებლობდნენ — მათ ჰქონდათ კერძო და ასევე სარგებლობდნენ სახელმწიფო, საყოველთაო დაზღევით, — განაცხადა სერგეენკომ. მისივე თქმით, არის ადამიანების რაოდენობა, რომლებმაც 2013-2014 წლების შემდეგ დაკარგეს კერძო დაზღვევა და ვერ მიიღეს სრული პაკეტით საყოველთაო ჯანდაცვაში მონაწილეობა და ამიტომ, ისინი სარგებლობენ მხოლოდ მინიმალური პაკეტით.

მინისტრის თქმით, სწორედ ამ სურათის მოსაწესრიგებლად არის მიმართული სადაზღვევო ბაზების მესამე განახლება.

— ამ სურათის ცოდნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფოს, ასევე სადაზღვევო ინდუსტრიისთვის, რადგან მათთვის პროგნოზირება, თუ რა იქნება შემდეგი, არის მათი ბიზნესის წარმატება, — აღნიშნა სერგეენკომ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ.

***პირველი***

# ფარული ჩანაწერების საქმეზე ბრალდებულები ზურაბ ჯამალაშვილი და ირაკლი ფხალაძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს



ფარული ჩანაწერების საქმეზე ბრალდებულები – ზურაბ ჯამალაშვილი და ირაკლი ფხალაძე – პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

მათ 9-თვიანი წინასწარი პატიმრობის ვადა ამოეწურათ, რის საფუძველზეც მოსამართლემ მათი გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო.

როგორც პროცესის დასრულების შემდეგ ერთ-ერთმა ბრალდებულმა, ირაკლი ფხალაძემ განაცხადა, ის პროკურატურის პირადი ტყვე იყო 9 თვის განმავლობაში, არ მიეცა საშუალება, რომ დამოუკიდებელი გამოძიება ეწარმოებინა და წარმოედგინა ის მტკიცებულებები, რაც ნათელს მოჰფენდა საქმეს.

– 9 თვეზე მეტია, საქმის არსებითი განხილვა მიმდინარეობს და პროკურატურამ შეგნებულად არ დაკითხა თავისი მოწმეები. რატომ გააკეთა ეს, არ ვიცი. მე ვთვლი, რომ ვიყავი 9 თვის განმავლობაში პროკურატურის პირადი ტყვე. არ მომცეს საშუალება, ამ საქმეზე დამოუკიდებელი გამოძიება ჩამეტარებინა და წარმომედგინა ის მტკიცებულებები, რომლებიც ნათელს მოჰფენდა საქმეს.

16 წელია, საადვოკატო საქმიანობას ვეწევი და ასეთი სიტუაციები ჩემთვის უცხო არ არის. აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ გამოძიებას მტკიცებულებები არ აქვს და ალბათ, ამ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი არ დადგება, – განაცხადა ირაკლი ფხალაძემ.

* * *

– ზურაბ ჯამალაშვილის გამოსვლა იმის დასაწყისია, რომ ჩვენ ცოტა ხანში გამამართლებელ განაჩენს ვიხილავთ.

ამის შესახებ ზურაბ ჯამალაშვილის ადვოკატმა გიორგი ფოფხაძემ ჟურნალისტებს სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ განუცხადა.

როგორც ფოფხაძემ აღნიშნა, ყველა ის დარღვევა, რომელიც ჯამალაშვილს ეხებოდა, შეგროვდება და ევროსასამართლოში გაიგზავნება.

– ზურაბ ჯამალაშვილის გამოსვლა იმის დასაწყისია, რომ ჩვენ ცოტა ხანში ვიხილავთ გამამართლებელ განაჩენს მის მიმართ. უბრალოდ, სავალალო იქნება თვითონ ქვეყნისთვის, ვინაიდან ჩვენ ამ ცხრათვიან პატიმრობას ასე არ დავტოვებთ. აუცილებლად მივმართავთ ევროსასამართლოს და სარჩელში აღბეჭდილი იქნება ყველა ის დარღვევა, რაშიც უკანონოდ დასდეს ბრალი ზურაბ ჯამალაშვილს, – განაცხადა გიორგი ფოფხაძემ.

* * *

– ბრალდებულების ჯამალაშვილისა და ფხალაძის გათავისუფლება არანაირად არ არის დაკავშირებული მტკიცებულებების საკმარისობასთან ან არასაკმარისობასთან, – განაცხადა საქმის პროკურორმა ლაშა კოტრიკაძემ,

როგორც პროკურორმა აღნიშნა, ბრალდებულებს ცხრათვიანი ვადა ამოეწურათ და სასამართლო უბრალოდ ვალდებული იყო, რომ ისინი გაეთავისუფლებინა.

– საქმის არსებითი განხილვის დაწყების დღიდან არც ერთი სხდომა არ ჩავარდნილა, ყველა სხდომაზე გამოკვლეული იყო მტკიცებულებები და შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული იქნება უახლოეს მომავალში. ამის შემდეგ ჩვენ შეგვეძლება გავაკეთოთ დასკვნები. დარწმუნებული ვარ, შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ სახელმწიფო ბრალდების პოზიცია გაზიარებული იქნება და სახელმწიფო ბრალდება დაადასტურებს წარდგენილ ბრალს, – განაცხადა ლაშა კოტრიკაძემ.

პროკურორის თქმით, საქმის მოცულობიდან და მტკიცებულებების სიმრავლიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა საქმის სასამართლო განხილვების 9-თვიან ვადაში დასრულება.

**ინტერპრესნიუსი**

# განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა



ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობასა და ძალადობაში ბრალდებული რამაზ პატარაია დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და 125-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 31 აგვისტოს, საღამოს საათებში, ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიაში, რამაზ პატარაიას წარსულში არსებული უთანხმოების ნიადაგზე ურთიერთშელაპარაკება მოუხდა ბიძაშვილ თემურ ჭეჟიასთან, როდესაც, განზრახ მოკვლის მიზნით, თემურ ჭეჟიას დანით გულმკერდის არეში მიაყენა ჭრილობა.

რამაზ პატარაიამ ასევე დანით მარცხენა მხარის არეში მიაყენა დაზიანება ბიძას დემურ ჭეჟიას, რომელიც მათ გაშველებას ცდილობდა, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული ჭრილობის შედეგად თემურ ჭეჟია საავადმყოფოში გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა რამაზ პატარაია 2016 წლის 1 სექტემბერს ზუგდიდის რაიონში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 108 მუხლით და 125-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ რამაზ პატარაია სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

დანაშაულის ჩადენის დროს რამაზ პატარაიას მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ქურდობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობდა საქმის განხილვა.

2016 წლის 30 სექტემბრის განაჩენით, სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახედ და ზომად 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

აღნიშნული სასჯელიდან ერთი წელი მიემატა 108 მუხლით და 125-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ რამაზ პატარაიას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით.

# თავდაცვის სამინისტროსა და ჯარში კადრების შემცირება დაიწყო



გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის, შალვა ჯაბახაძის თქმით, საშტატო ოპტიმიზაცია როგორც თავდაცვის სამინისტროში, ასევე შეიარაღებულ ძალებშიც მიმდინარეობს.

– ჩვენთან მიმდინარეობს ოპტიმიზაცია. ეს შეეხება საშტატო ერთეულებს და უშუალოდ საშტატო-სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაციას. ეს ხდება თავდაცვის სამინისტროში, ასევე შეიარაღებულ ძალებში. შექმნილია კომისიები, ქვეკომისიები, რომლებიც გადიან პირად შემადგენლობასთან გასაუბრებას და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება, ვინ გააგრძელებს მუშაობას და ვინ არა, – განაცხადა ჯაბახაძემ.

შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სტრატეგიული დაგეგმვის, სამხედრო პოლიტიკის და სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსის მამუკა შიუკაშვილის თქმით კი, ოპტიმიზაციის შედეგად ამაღლდება შეიარაღებული ძალების მზადყოფნის დონე.

– ოპტიმიზაციის პროცესში მოხდება პირადი შემადგენლობის კვალიფიკაციის გადახედვა, რიცხოვნობის გადახედვა, აღჭურვილობის გადახედვა, რათა მაქსიმალურად მოვახდინოთ თანხების რაციონალურად ხარჯვა, იმ პროგრამების განსახორციელებლად, რომლებზეც მიმდინარეობს მუშაობა და დაგეგმილია.

რაოდენობაზე ამ დროისთვის ვერ ვისაუბრებ. გასული წლების განმავლობაში შეიარაღებულ ძალებში საგრძნობლად გაიზარდა სამოქალაქო მიმართულების კადრები. არარაციონალურად მოხდა ამის გაზრდა. ამ თანამდებობებზე დაინიშნა ბევრი ისეთი ადამიანი, რომელიც არ წარმოადგენს საჭიროებას, – განაცხადა შიუკაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# გივი თარგამაძის ადვოკატი: „პროკურატურა საქმის მასალებს არ გვაცნობს“



– თუ ნაციონალური მოძრაობის წევრი არის ბრალდებული, მაშინ სხვა სტანდარტია, თუ ნაციონალური მოძრაობის წევრი დაზარალებულია – მაშინ სხვა სტანდარტი.

ამის შესახებ ნაციონალი გივი თარგამაძის ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მან გივი თარგამაძის მანქანის აფეთქებასთან დაკავშირებულ გამოძიებაზე ისაუბრა.

მისი თქმით, კანონმდებლობა პირდაპირ ავალდებულებს გამოძიებას, რომ დაზარალებულად ცნობის შემთხვევაში, გადასცეს ასლები ან ადგილზე მოხდეს მასალების გაცნობა.

– ჩვენი მოთხოვნა თავიდანვე, როდესაც მთავარ პროკურორს მივწერეთ 10 დღის წინ, ზუსტად იმაში მდგომარეობდა, ვართ თუ არა საერთოდ ამ საქმეში დაზარალებული. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა დაზარალებულად ცნობა. ხოლო რაც შეეხება მეორე პუნქტს, რომ მოხდეს ჩვენთვის იმ საქმის მასალების შინაარსის გაცნობა, რაზეც მიმდინარეობს გამოძიება, მივიღეთ უარი.

ეს არ ყოფილა წერილობითი ფორმით, მაგრამ როდესაც ჩვენ დავუკავშირდით საგამოძიებო ნაწილს, გვითხრეს, რომ არ გაგვაცნობდნენ ამ ეტაპზე და მხოლოდ და მხოლოდ გაგვაცნობენ მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საქმეს წარგზავნიან სასამართლოში.

ეს არის ზუსტად ის ორმაგი სტანდარტი, რომელზეც ჩვენ ძალიან ხშირად ვსაუბრობთ, – განაცხადა ჩივიაშვილმა.

როგორც მან აღნიშნა, პროკურატურა უმოტივაციოდ ეუბნება უარს სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობაზე.

– მათ ასე სურთ, რადგან ასე სურთ, ასე იქნება. რაც შეეხება საქმის შინაარსობრივ ნაწილს, ძალიან ძნელია ვისაუბროთ სხვა დეტალებზე, როდესაც არ ვიცით, რა ხდება ამ სისხლის სამართლის საქმეში. შეიძლება გვქონდეს ეჭვი, ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ სპეციალურად აკეთებენ, რომ ჩვენ არ ვნახოთ იქ პროცესუალური დარღვევები, რაც შემდგომ ახლანდელ ბრალდებულს შეუქმნის კარგ პირობებს, სასამართლოში ჩამოიშლება ეს საქმე, ან შეიძლება წინასწარ გამოძიებაშივე დაშალონ პროცესუალური დარღვევების გამო.

ჩვენ ვითხოვთ ლეგიტიმურად, კანონის შესაბამისად მოგვცენ შესაძლებლობა, გავეცნოთ სისხლის სამართლის საქმეს, ჩავიხედოთ შიგნით, დავსვათ კითხვები, რომლებიც არსებობს, – განაცხადა ჩივიაშვილმა.

* * *

4 ოქტომბერს, ღამით, „პირიმზესთან“, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის გივი თარგამაძის ავტომანქანა აფეთქდა. მანქანაში იმყოფებოდნენ თარგამაძე და მისი მძღოლი. აფეთქების შედეგად 5 პირი დაშავდა.

**ინტერპრესნიუსი**

# რომან გოცირიძე: „მე სარკეში ჩავახედე „ოცნება“ და მათ საკუთარი სიფათები არ მოეწონათ“



– მე სარკეში ჩავახედე და საკუთარი სიფათები არ მოეწონათ.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრმა რომან გოცირიძემ განაცხადა, რომელსაც პარლამენტის რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე, ბიუჯეტის განხილვის დროს, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთან, სამტრედიის მაჟორიტარ დეპუტატთან, რკინიგზის საკითხთან დაკავშირებით შელაპარაკება მოუვიდა.

– წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი არ შეუწყობს ხელს ფინანსურ სტაბილურობას. ჩვენ დღეს დავინახეთ, რომ ლარი ავიდა 2.59-მდე, ისტორიული რეკორდი დაამყარა და ეს არის სამწუხარო სურათი.

დღევანდელი საუბრით დავინახეთ, რომ უამრავი მანკიერი დანაშაულებრივი მხარეები წარმოჩინდა. ვიღაცეებმა ატეხეს ხმაური, რადგან გულში მოხვდათ. მთავარი თემა იყო ის, რომ სახელმწიფო საწარმოები, რომლებსაც აქვთ მრავალმილიარდიანი დივიდენდი, არ იხდიან ბიუჯეტში არც ერთ თეთრს. ფაქტობრივად, ყველა სახელმწიფო ორგანიზაცია არის გაკოტრებული, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

მისივე თქმით, ამ ყველაფრით დასტურდება, რომ სახელმწიფო ქონება იმართება არასწორად და არაეფექტურად. გოცირიძის განცხადებით, ბიუჯეტი მხოლოდ შემოსავალი და ხარჯი არ არის.

– ბიუჯეტი არის სარკე, სადაც ეკონომიკის მრავალი მხარე ჩანს, – აღნიშნა რომან გოცირიძემ.

პარლამენტის რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე რომან გოცირიძესა და „ქართული ოცნების“ წარმომადგენელ გია მიქელაძეს შორის ხმაურიანი შელაპარაკება მოხდა.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ეროვნული ბანკი საქართველოში ალფა ბანკის შემოსვლას არ ადასტურებს




საქართველოს ეროვნული ბანკი არ ადასტურებს ინფორმაციას ალფა ბანკის საქართველოში შესაძლო შემოსვლასთან დაკავშირებით.

როგორც ეროვნული ბანკის განცხადებაშია ნათქვამი, საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ალფა ბანკს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის არ მოუმართავს.

– ასევე მცდარია ინფორმაცია, იმასთან დაკავშირებით, რომ „კავკასიის განვითარების ბანკი – საქართველოს“ ფინანსურ აუდიტს ფრანგული აუდიტორული კომპანია სწავლობს და მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთებს ალფა ბანკი შემოსვლასთან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებას.

იმისთვის, რომ აუდიტორულმა კომპანიამ ჩაატაროს ფინანსური აუდიტი, საჭიროა ბანკისგან მიიღოს ბუღალტრული დოკუმენტაცია. ასეთი მოთხოვნა, მით უმეტეს „კავკასიის განვითარების ბანკი – საქართველოს“ 2016 წლის ფინანსური მაჩვენებლების წარდგენა რომელიმე აუდიტორული კომპანიისთვის არ მომხდარა. შესაბამისად, ინფორმაცია „კავკასიის განვითარების ბანკ – საქართველოში“ აუდიტის შესვლასთან დაკავშირებით ასევე არასწორია, – ნათქვამია განცხადებაში.



# „ყველას მოვუწოდებ, ფრთხილად იყოს!“

## მამუკა ხაზარაძე ბანკების მიმართ ბრალდებებს პასუხობს

თიბისი ბანკის დამფუძნებელი მამუკა ხაზარაძე ბოლო პერიოდში ბანკების მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს პასუხობს.

მისი თქმით, გაკვირვებას იწვევს, რომ ზოგი ექსპერტი ლარის ვარდნასა და ამით გამოწვეულ პანიკაში ბანკს ადანაშაულებს.

— ბოლო პერიოდში ლარის ვარდნამ პანიკა გამოიწვია. პანიკას კი კომენტარები მოჰყვა. ჩვენს გაკვირვებას იწვევს ის, რომ ზოგი ექსპერტი ამ ყველაფერში ბანკს ადანაშაულებს. მე კატეგორიულად ვაცხადებ, ელემენტარული ცოდნაა საჭირო იმის გასაცნობიერებლად, რომ ნებისმიერი ვარდნა ლარის დოლართან მიმართებაში, პირველ რიგში, კომერციულ ბანკებს აზარალებს.

ეს არ არის სათამაშო თემა. წყნარად ვუყურებდით ამას, მაგრამ ახლა კომენტარის გაკეთება გადავწყვიტეთ. საქართველოს საბანკო სისტემა პირველ რიგშია დაინტერესებული, რომ ლარი მყარი იყოს, — აცხადებს მამუკა ხაზარაძე.

მისი თქმით, ლარის გაუფასურების დროს ბანკს ორი მხრიდან ექმნება პრობლემები.

— კომერციული ბანკების კაპიტალი უცხოურ ვალუტაში ითვლება. რადგან საქართველოს წამყვანი ბანკები ლონდონის საფონდო ბირჟაზე არიან წარმოდგენილი. ბევრი უცხოელი ინვესტორიც გვყავს. ამიტომ ლარის ნებისმიერი ვარდნა იწვევს კაპიტალის შემცირებას და ინვესტიციების დაკარგვას.

მეორე მხრივ კი ნებისმიერი ვარდნა პრობლემას უქმნის ჩვენს კლიენტურას. მათ სესხის დაბრუნება უჭირთ. მათი თანხა მიდის რეზერვში და ბანკის შემოსავალს აკლდება. ამ მიზეზების გათვალისწინებით, ცხადია, ბანკი პირველ რიგშია დაინტერესებული, რომ მყარი ეროვნული ვალუტა გვქონდეს, — აღნიშნავს ხაზარაძე.

***

თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე დადებითად აფასებს ეროვნული ბანკისა და მთავრობის ინიციატივას ლარიზაციასთან დაკავშირებით. ბანკის მმართველი ახალ გეგმას წინ გადადგმულ დიდ ნაბიჯს უწოდებს.

— პრობლემა, რაც დღეს ქართულ საბანკო სექტორს და ქართველ საზოგადოებას აწუხებს, არის ის, რომ სამომხმარებლო სესხების უმეტესობა არის უცხოურ ვალუტაში. დეპოზიტების უმეტესი ნაწილი არის დოლარში და სწორედ ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ, რომ სესხებიც დოლარში გავცეთ.

ბოლო ცხრა თვის ტენდენციას თუ გადავხედავთ, ლარში გაცემული სესხების რაოდენობა იზრდება. ინიციატივა, რომელიც ერთი კვირის წინ გაჟღერდა ეროვნული ბანკის მიერ და მომავალი წლის იანვრიდან ამოქმედდება, ხელს შეუწყობს ლარებში მეტი სესხის გაცემას.

ეს მეტად დაიცავს მომხმარებელს, ბანკებს კი რისკებს შეუმცირებს. შედეგად ქვეყნისთვის ქართული ლარის ცვალებადობა უფრო მარტივი გახდება. თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ მსოფლიოში განვითარებული მოვლენების გამო, ცვლილება აუცილებელია. ეს ქართული ექსპორტის, ტურიზმისა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფს, — განმარტავს ვახტანგ ბუცხრიკიძე.

მისი განმარტებით, ახლა მიმდინარეობს სამუშაოები საპროცენტო განაკვეთების დაანგარიშებასთან დაკავშირებით.

ბანკს შეხვედრები ჰქონდა ეროვნული ბანკის წარმომადგენლებთან. მათი მიზანია, რომ წლის ბოლომდე დეტალები განსაზღვრული იყოს.

ამჟამად ლარში გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები 9%-დან 10%-მდე ლავირებს.

**ნანა მღებრიშვილი, ბიპიენი**

# 2019 წლიდან ბინების ფასი, შესაძლოა, გაიზარდოს




უძრავ ქონებაზე ფასები 2019 წლიდან, შესაძლოა, გაიზარდოს. ამის მიზეზი კი სამშენებლო პროცესში დაგეგმილი ცვლილებები იქნება.

საუბარია მშენებლობის ახალი კოდექსზე, რომლის ინიცირებაც პარლამენტში მიმდინარე წლის ნოემბერში მოხდა და რომლის ავტორიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროა.

კოდექსი ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება — სივრცითი და დაგეგმარების და სამშენებლო ნაწილებისგან.

ორივე ამ ნაწილში არაერთი ცვლილებაა დაგეგმილი. თუმცა, მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც უძრავი ქონების ღირებულებაზეც აისახება, სამშენებლო ნაწილში შედის.

კოდექსი ითვალისწინებს უფრო მკაცრ რეგულირებას ხარისხისა და სამშენებლო უსაფრთხოების კუთხით, რაც მშენებლობის პროცესს, დაპროექტებასა და სამშენებლო მასალებს შეეხება; სამშენებლო მასალების სერტიფიცირებას — მასალების ნუსხას, რომელსაც სერტიფიცირება შეეხება, მთავრობა დაადგენს; სახანძრო უსაფრთხოების დაცვას; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შენობა-ნაგებობების გამოყენების შესაძლებლობისა და ხმაურისაგან დაცვის უზრუნველყოფას; შენობა-ნაგებობების ენერგოეფექტურობას და ა.შ.

ცვლილებათა პაკეტს თან ახლავს ზემოქმედების დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც რეგულაციების გამკაცრება პირდაპირ გავლენას მოახდენს სამშენებლო პროცესის ღირებულებაზე.

კერძოდ, უხეში გათვლებით, სამშენებლო ხარჯები 2019 წლიდან გაიზრდება, რაც საცხოვრებელი ფართების ფასზეც აისახება.

— ზოგიერთმა ცვლილებამ შესაძლოა სამშენებლო მასალის ფასების ზრდა გამოიწვიოს. უხეში გათვლებით, რაც ჩვენთვის ხელმისაწვდომ მწირ ინფორმაციას ეფუძნება, 2019 წლიდან როცა სამშენებლო მასალებთან დაკავშირებული ყველა დებულება ამოქმედდება, შესაძლოა ფასების ჯამური ზრდა 5%-დან 20%-მდე მერყეობდეს. მასალებზე ფასების ზრდა სრულად აისახება საცხოვრებელი ფართების ფასზეც. თუმცა, შესაძლოა, ეს ზრდა მომხმარებელს მთლიანად არ დააწვეს და დეველოპერებმა ნაწილობრივ დააფინანსონ, — ნათქვამია ზემოქმედების დოკუმენტში.

**ბიპიენი**

# ტაქსი 200 200 იანდექს ტაქსის დემპინგში ადანაშაულებს

## ხადური: „ყველა მხარის უფლებები დაცული იქნება“




— ჩვენ შევისწავლით ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისად და რა ინსტრუმენტებიც გააჩნია კონკურენციის სააგენტოს, იმოქმედებს იმის ფარგლებში, თუმცა უნდა ითქვას ის, რომ დაცული უნდა იყოს ყველა მხარის უფლება.

ასე გამოეხმაურა საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელი ნოდარ ხადური ტაქსი 200 200-სა და იანდექს ტაქსის შორის დავას.

როგორც ნოდარ ხადურმა აღნიშნა, კონკურენციის სააგენტომ ტაქსი 200-200-ის საჩივარი არ მიიღო, თუმცა სააგენტოს დაწყებული აქვს წინასწარი სამუშაოები.

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, ტაქსი 200-200-ს ვთხოვეთ დააზუსტონ საკუთარი საჩივარი, უკვე დავიწყეთ წინასწარი სამუშაოები. ჩვენ დავუკავშირდით მეზობელ ქვეყნებს, მათ შორის სომხეთის შესაბამის სამსახურებს. ჩვენ შევისწავლით ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისად და რა ინსტრუმენტებიც გაგვაჩნია, კონკურენციის სააგენტო იმუშავებს იმის ფარგლებში. ერთი უნდა ითქვას, რომ დაცული უნდა იყოს ყველა მხარის უფლება, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

რუსულ კომპანია იანდექს ტაქსის ქართული კომპანიები დემპინგში ადანაშაულებენ.

ტაქსი 200 200-მა კონკურენციის სააგენტოს საჩივრით მიმართა, თუმცა, იმის გამო, რომ საჩივარი ხარვეზიანი იყო, კონკურენციის სააგენტოს მიერ საჩივრის ავტორებს რეკომენდაციები მიეცათ, რათა საჩივრის ტექსტი გაესწორებინათ.

ჯერჯერობით ტაქსი 200 200-ს განახლებული საჩივარი არ მოუმზადებია.

**ინტერპრესნიუსი**

# ზოგიერთ ბრენდირებულ სადგურზე საწვავი კიდევ 5 თეთრით გაძვირდა



საწვავის ფასი ზოგიერთ ბრენდირებულ სადგურზე კიდევ გაიზარდა. საწვავი სოკარმა და ლუკოილმაც გააძვირეს.

6 დეკემბრის შემდეგ ფასებმა ლუკოილის ბენზინგასამართ სადგურზე 5 თეთრით მოიმატა.

კერძოდ, ევრო სუპერის ფასი 1.94 ლარი გახდა, მაშინ როცა 6 დეკემბერს 1.89 ლარი ღირდა; პრემიუმ ავანგარდის ფასმა 1.79-დან 1.84 ლარამდე მოიმატა; ევრო რეგულარი 6 დეკემბერს 1.59 ღირდა, 9 დეკემბერს კი 1.64 ლარი გახდა; 5 თეთრით მოიმატა ასევე ევრო დიზელის ფასმაც და 1.64 ლარიდან 1.69-მდე გაძვირდა. ფასებმა 5 თეთრით მოიმატა სოკარის ბენზინგასამართ სადგურზეც.

კერძოდ, სუპერის ფასი 5 დეკემბერს 2.04 ლარი იყო, 9 დეკემბერს კი 2.09 გახდა; პრემიუმის ღირებულება 1.94 ლარი გახდა, მაშინ როცა 1.89 ღირდა; ევრო რეგულარის ფასმა 1.74 ლარიდან 1.79-მდე მოიმატა; რეგულარის ფასი 5 დეკემბერს 1.69 ლარი იყო, 9-ში კი 1.74 გახდა; ასევე 5 თეთრით გაძვირდა ევრო დიზელი, რომლის ფასმაც 1.80-დან 1.85 ლარამდე მოიმატა; დიზელის ფასი კი 1.67 გახდა, მაშინ როცა 4 დეკემბერს 1.62 ლარი ღირდა.

6 დეკემბერს საწვავი ვისოლისა და გალფის ბენზინგასამართ სადგურებზეც 5 თეთრით გაძვირდა.

ბოლო 2 თვის განმავლობაში საწვავზე ფასები რამდენჯერმე გაიზარდა. ექსპერტთა შეფასებით, საწვავი კიდევ უფრო გაძვირდება მომავალი წლიდან, მას შემდეგ რაც მთავრობის მიერ დაანონსებული ცვლილება შევა ძალაში და ნავთობპროდუქტებზე აქციზის გადასახადი გაიზრდება.

**ბიპიენი**

# ლარი დოლართან გაუფასურდა, ევროსთან გამყარდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.

10 დეკემბრიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.5887 ლარია. კურსი, რომელიც 9 დეკემბერს მოქმედებდა, 2.5738 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0149 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაში გამყარდა.

კერძოდ, 10 დეკემბრიდან 1 ევროს შეძენა 2.7474 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა 9 დეკემბერს მოქმედი კურსი 2.7787 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0313 ლარი შეადგინა.

# ქართული ხილის ექსპორტი მინიმუმამდე დაეცა

ქართული ხილის ექსპორტი სერიოზული პრობლემების წინაშე დგას: სხვადასხვა ქვეყნის ბაზრებზე ხილის შეტანა ჭირს, ხოლო ადგილობრივ ბაზარზე უცხოური ხილი ჭარბობს. ფერმერების თქმით, ქართული ბაზარი არ არის დაცული, მათი პროდუქცია კი, არაკონკურენტუნარიანია. მათ არც ახალი ტექნიკა აქვთ, რომ პროდუქციის ხარისხი და მოსავლიანობა გაზარდონ.

— სანამ ერთიანი, კომპლექსური პროგრამა არ შემუშავდება და სოფლის მეურნეობაში სერიოზული ინვესტიციები არ ჩაიდება, არაფერი შეიცვლება, — განუცხადა ბიზნესპრესნიუსს შპს „ფრიუტილიას“ დამფუძნებელმა ვახტანგ ბეჟიტაშვილმა, რომელიც ექსპორტიორი კომპანიების პრობლემებზე გვესაუბრა.

— ხილის გატანას ვერ ვახერხებთ, რადგან ყაზბეგის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი გადაკეტილია. იქ ისეთი მდგომარეობაა, რომ უამინდობის გამო პროდუქციის ექსპორტი კი არა, მიმოსვლაც გაძნელებულია. ორი დღის წინ ერთი მძღოლიც კი დაიღუპა. ამის მიზეზი ერთადერთია: გზა არ იწმინდება, — განაცხადა ვახტანგ ბეჟიტაშვილმა.

მისი თქმით, ათასამდე მანქანაა გაჩერებული ფასანაურიდან გუდაურამდე და საბაჟოზეც სულ რიგებია. ამის გამო ქართული პროდუქციის ექსპორტი რუსეთში შეჩერებულია. ეს შეეხება არა მარტო ხილს, არამედ ღვინოს და ბორჯომსაც.

— საბოლოოდ, ეს ყველაფერი ჩვენს ეკონომიკას ურტყამს. მხოლოდ ყაზახეთში გაგვაქვს პროდუქცია, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით, — აღნიშნა ვახტანგ ბეჟიტაშვილმა.

ექსპორტიორის თქმით, ქართულ ბაზარზე ხილის გაძვირება ლარის გაუფასურებამ გამოიწვია.

— სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიდი ნაწილი ჩვენს ბაზარზე იმპორტირებულია, მათ შორის არის ხილი, რომელიც საქართველოში უცხოეთის ქვეყნებიდან შემოდის. იმ პროდუქციის დიდი ნაწილი, რაც ახლა საქართველოში იყიდება, უცხო ქვეყნებიდან არის იმპორტირებული, ამიტომაც არის ძვირი და მომავალშიც აუცილებლად გაძვირდება.

ჩვენს ბაზარზე გასაყიდად გამოტანილი ხილის მხოლოდ 30 პროცენტი თუ იქნება ადგილობრივი, ქართული, ხოლო ვაშლს რაც შეეხება, ნახევარი ქართულია და ნახევარი — შემოტანილი. თუ ასე გაგრძელდება, ხილის ფასი მომავალში კიდევ მოიმატებს, — განაცხადა ბეჟიტაშვილმა.

* * *

ფერმერი კახა ბიჭიკაშვილი ამბობს, რომ ხილის ექსპორტმა რიგითი ფერმერებისთვისაც აზრი დაკარგა.

— ხილის ექსპორტმა აზრი დაკარგა, რადგან რაც გზაში დიდი ხარჯი და უსიამოვნება შეგხვდება, თანაც, მოგებაც არ დაგრჩება. ამას ისევ ბითუმად ჩაბარება ჯობია: ამჟამად, ვაშლის საბითუმო ფასი 1-1,20 ლარია. მოდიან გადამყიდველები და მიაქვთ. მერე კი იმ ფასს ადებენ, რაც ბაზარზეა და რაც თვითონ სურთ. ჩვენს ბაზარზე ხომ იმპორტირებული ხილი ჭარბობს და ფასიც ამის მიხედვით დგინდება. საქართველოში თავისუფლად შემოდის უცხოური ხილი და ბოსტნეული, არც მის ხარისხს ამოწმებს ვინმე და არც — რაოდენობას, — ამბობს კახა ბიჭიკაშვილი.



მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ბევრმა ფერმერმა გააშენა ევროპული ბაღები და ძალიან კარგი მოსავალი მოიყვანა, ექსპორტზე გატანისგან ყველა თავს იკავებს.

— ჩემს ბაღში იტალიური, ამერიკული, იაპონური ვაშლის ჯიშები მაქვს გაშენებული, მაგრამ მოსავლის ექსპორტზე გატანა არც მიფიქრია. საბაჟოები თუ არ მოწესრიგდა, პროდუქციის შემოტანა და გატანა თუ არ შემოწმდა, სულ ასეთი სიტუაცია გვექნება. აბა, სხვა ქვეყანაში შეიტანე ქართული პროდუქცია — კონტროლის გარეშე არსად შეგიშვებენ. ჩვენი ხილი უკვე აზერბაიჯანელებსაც აღარ მიაქვთ, არადა, შარშან და წინა წლებში საკმაო რაოდენობით გაჰქონდათ. წელს შედარებით გააქტიურდნენ სომხები, რადგან სომხეთში სეტყვა მოვიდა და მოსავალი გაანადგურა, — აცხადებს კახა ბიჭიკაშვილი.

* * *

ფერმერი ზურაბ დავითაშვილიც მიიჩნევს, რომ ხილის ექსპორტზე გატანა არ ღირს, ადგილობრივ ბაზარზე კი უმწვავესი კონკურენციაა.

— შეღავათიანი აგროკრედიტებით ვისარგებლეთ და ძალიან კმაყოფილი ვართ. ამ თანხით ძალიან ბევრმა ახალი ბაღები გააშენა. ევროპული ტექნოლოგიით გაშენებული ბაღის მოსავლიანობაც მეტია და ხარისხიც უკეთესი. სამწუხაროდ, წელს ჩემი ბაღი დაისეტყვა. დასეტყვილ ვაშლს საზღვარგარეთ არავინ იყიდის, ამიტომ, მე ისედაც არ დავინტერესებულვარ მისი გატანით, თანაც, საბაჟოებზე ისეთი სიმკაცრეა, რომ შეიძლება შენი პროდუქტი მთლიანად გადასაყრელი გაგიხდეს.

ასე გადავყარე 300 ტონამდე პომიდორი, რომელიც წინა წლებში აზერბაიჯანში კარგად გაგვქონდა, წელს კი იქაც ანალოგიური სიტუაცია დაგვხვდა. ეს მაშინ, როცა ჩვენი ბაზარი თურქული და ირანული ხილით და ბოსტნეულით არის სავსე. რუსეთში თუ გაიტან და იქაც ტრანსპორტირების პრობლემები გხვდება, — აღნიშნავს ზურაბ დავითაშვილი.

ფერმერის თქმით, არანაკლებ რთული სიტუაციაა ქართულ ბაზარზე.

— 60 ტონა ხახვი მაქვს ბაზარზე გატანილი და ვერ ვყიდი, რადგან თბილისი და ქუთაისი უცხოურ ხილსა და ბოსტნეულს მიაქვს. მარტო ხილი კი არა, ყველაფერი იმპორტირებული იყიდება, რაც ქართველ ფერმერებს გადაულახავ ბარიერს უქმნის. ჯერ ჩვენი, ადგილობრივი პროდუქცია უნდა სარგებლობდეს უპირატესობით, რადგან უცხოელებს კონკურენციას ვერ ვუწევთ. უცხოურ პროდუქციაზე რეგულაციები რომ დააწესონ, ეს ბევრ პრობლემას მოგვიხსნიდა, — ამბობს ფერმერი.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**

# ქერი და ლავროვი ერთმანეთს ჰამბურგში შეხვდნენ



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი ჰამბურგში თავის რუს კოლეგა სერგეი ლავროვს შეხვდა. შეხვედრას გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი შტაინმაიერიც დაესწრო.

საუბრის ძირითადი თემა სირიაში შექმნილი მდგომარეობა იყო. განიხილეს დონბასში შექმნილი მდგომარეობაც. ქერიმ თავის რუს კოლეგას ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტა მოსთხოვა.

– პარტიზანებმა იარაღი უნდა დაყარონ და ცეცხლიც შეწყდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი განადგურებულნი იქნებიან, – მიუგო ლავროვმა.

– თუკი საომარი მოქმედებები არ შეჩერდა, რუსეთის მიმართ სანქციები გაფართოვდება, – მიუგო ქერიმ.

ამ მოკლე ფორმულირებამ გაჭრა. ლავროვი საომარი მოქმედების შეჩერებას დათანხმდა.

– ჩვენ უნდა მივცეთ საშუალება აღმოსავლეთ ალეპოს მცხოვრებლებს, რომ ქალაქი დატოვონ. საომარი მოქმედებებიც რამდენიმე დღით შეჩერდება, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

რაც შეეხება დონბასში შექმნილ მდგომარეობას, ქერიმ აღნიშნა, რომ მინსკის შეთანხმებები არ სრულდება და მდგომარეობაც იძაბება. ლავროვი დაეთანხმა, თუმცა ამაში უკრაინული მხარე დაადანაშაულა.

– უკრაინამ დონბასისთვის სტატუსის მინიჭებაზე უარი განაცხადა და ამან წარმოქმნა პრობლემები სამშვიდობო პროცესის რეალიზებაში, – განაცხადა ლავროვმა.

შტაინმაიერმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ მინსკის შეთანხმებებს ალტერნატივა არ გააჩნიათ, ამიტომ ისინი ყველა მხარისთვის სავალდებულოა. შესაბამისად, რუსეთმა დონბასიდან ჯარი უნდა გაიყვანოს, საზღვარზე კონტროლიც უკრაინას გადასცეს. შტაინმაიერმა აღნიშნა, რომ ყირიმის დეოკუპაციაც აქტუალურია.

– ყირიმს ჩვენ არასოდეს დავივიწყებთ, – განაცხადა შტაინმაიერმა.

# უკრაინის პარლამენტმა დეპუტატ ნოვინსკის იმუნიტეტი მოუხსნა



უკრაინის გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომ დეპუტატ ნოვინსკის (ოპოზიციური ბლოკი) უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მოსკოვის საპატრიარქოს ეპისკოპოსის გატაცება დასდო ბრალად.

ნოვინსკი ცნობილი ოლიგარქი, ევროპის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი და ე.წ. „რუსკი მირის“ ერთ-ერთი ლიდერია. ოპოზიციური ბლოკის რეალური ლიდერი ის იყო და არა ბოიკო, რომელიც იურიდიულად ამ ორგანიზაციის თავმჯდომარედ ითვლება. სწორედ ნოვინსკის მეშვეობით ხდებოდა ყველა ანტიუკრაინული აქციის დაფინანსება-კოორდინაცია.

დეპუტატი პუტინს მიიჩნევს ერთადერთ ძალად, რომელიც მსოფლიო მასონობასა და მის ციტადელ აშშ-ს უპირისპირდება.

– ამიტომაც აშშ-მ დაიწყო სპეცოპერაცია, რომლის მიზანიც რუსეთის დაშლაა! უკრაინაში „მაიდანის“ გამარჯვება მისი პირველი ეტაპი იყო, მეორე რუსეთ-უკრაინას შორის ომია, მესამე და გადამწყვეტი ეტაპი ფართომასშტაბიანი სისხლისღვრის ინსპირირება, შემდგომ კი რუსეთში „დემოკრატიული რევოლუციის“ გაჩაღებაა, – ასკვნის ნოვინსკი.

# ინგლისის დაზვერვა: „რუსეთი ისლამისტებს მფარველობს“



ინგლისის დაზვერვის ხელმძღვანელმა ალექს იანგერმა განაცხადა, რომ რუსეთის მცდელობები სირიას დაუსახლებელ უდაბნოდ გადააქცევს. ასადის ყველა მოწინააღმდეგეს ტერორისტის იარლიყი მიაკერეს. ამავე დროს, ნამდვილი ტერორისტების წინააღმდეგ რეალური ოპერაციები არ წარმოებს. მეტიც, რუსეთი ყველაფერს აკეთებს, რომ ისლამისტებმა ევროპაზე ტერორისტული დარტყმები განახორციელონ.

– ისლამური სახელმწიფო ამზადებს დარტყმებს ინგლისზე და ეს რუსების წაქეზებით ხდება, – ამბობს იანგერი.

# ზახარჩენკო რუსეთს დონბასში შეტევის დაწყებას სთხოვს



„დონეცკის რესპუბლიკის“ მეთაურმა ზახარჩენკომ განაცხადა, რომ დადგა დრო, უკრაინულ არმიაზე ფართომასშტაბიანი შეტევა დაიწყოს და უკრაინელები დონბასიდან გააძევონ.

– რა თქმა უნდა, ჩვენი ძალებით ამისი გაკეთება შეუძლებელია, ამიტომ დახმარებისთვის რუსეთს მივმართავთ, – ამბობს ზახარჩენკო.

სეპარატისტების ლიდერმა რუსეთსა და უშუალოდ ვლადიმერ პუტინს დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა. მან აღნიშნა, რომ რუსეთის გარეშე ვერც დონეცკისა და ვერც ლუგანსკის რესპუბლიკები ვერ გადარჩებოდნენ.

– რუსეთის არმია რომ არა, ჩვენ უკვე 2014 წელს გაგვანადგურებდნენ და უკრაინელები დონეცკში ბართლომეს ღამეს მოაწყობდნენ, – აცხადებს ზახარჩენკო.

სეპარატისტების ლიდერის აზრით, ახლა შესაფერისი მომენტია, რათა რუსეთმა შეტევა დაიწყოს.

– უკრაინის მოსახლეობის უმრავლესობა გალატაკებული, გაბოროტებული და იმედგაცრუებულია, უკრაინის ხელისუფლების ზედა ეშელონებში კი დაქსაქსულობა, ინტრიგები და დაბნეულობა სუფევს. ფართომასშტაბიანი შეტევის შემთხვევაში რუსეთის არმიას ვერავინ და ვერაფერი შეაკავებს. მეტიც, მოსახლეობის უმრავლესობა მას პურმარილით დახვდება, – აცხადებს ზახარჩენკო.

სეპარატისტების ლიდერის აზრით, უკრაინის აღმოსავლეთ-სამხრეთ რეგიონებში უკვე წინასარევოლუციო სიტუაციაა. რუსეთის არმიის გამოჩენისთანავე კიევის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი აქციები დაიწყება. უკრაინის დაყოფაც შედარებით უმტკივნეულოდ მოხდება.

– ახლა დასავლეთს უკრაინისთვის არ სცალია, ასე რომ, გამარჯვების შანსებიც დიდია! თუკი ეს ხელიდან გავუშვით, ასეთი შანსი, შესაძლოა, აღარც მოგვეცეს, – აცხადებს ზახარჩენკო.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# სამხრეთ კორეის პარლამენტმა პრეზიდენტს იმპიჩმენტი გამოუცხადა



სამხრეთ კორეის პარლამენტმა პრეზიდენტ პაკ ინ კხეს იმპიჩმენტი გამოუცხადა. ასე დასრულდა მრავალთვიანი აქციები, რომლებშიც ხალხი პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვდა.

– პარლამენტის დადგენილებას უდრტვინველად ვემორჩილები, – განაცხადა პაკ ინ კხემ.

პრეზიდენტის მოვალეობას პრემიერი შეასრულებს. ეს მანამ გაგრძელდება, სანამ ხალხი ახალ პრეზიდენტს არ აირჩევს.

# თურქეთის პროკურატურამ სტამბოლის უნივერსიტეტის 87 თანამშრომლის დაპატიმრების სანქცია გასცა



თურქეთის პროკურატურამ სტამბოლის უნივერსიტეტის 87 თანამშრომლის დაპატიმრების სანქცია გასცა.

აღნიშნული პირები სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასა და ფეთჰულა გიულენის ორგანიზაციასთან კავშირში არიან დადანაშაულებული.

თურქეთის პოლიციამ ერთდროული რეიდები თურქეთის 12 პროვინციაში ჩაატარა.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

**ქალბატონი ქეთათო**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45. სერთიფიკატი №53.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# პსჟ ნიცა შეჩერებას ეცდება, იუვენტუსი მდევრებს უყურებს

## სტატისტიკა, ფსონები



საინტერესო უქმეები უნდა გამოდგეს ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში. საფრანგეთში პსჟ შეეცდება მოულოდნელი ლიდერის, ნიცას, შეჩერებას. რამდენად გამოუვა, ამას კვირას გავიგებთ.

იტალიაში რომა-მილანია – თამაში, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, ვინ ჩაუდგება იუვენტუსს საჩემპიონო რბოლაში.

ინგლისში გასული წლის აღმოჩენა და პრემიერლიგის ჩემპიონი ლესტერი შინ დაუხვდება მანჩესტერ სიტის. მართალია, ლესტერი წელს ისე ვერ ბრწყინავს პრემიერლიგაში, მაგრამ ყველასთვის კერკეტი კაკალი რომ არის, ჩემპიონთა ლიგაზეც გამოჩნდა.

### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 10.12 უოტფორდი-ევერტონი | 3.0 | 3.3 | 2.45 |
| 10.12 ბარნლი-ბორნმუთი | 3.5 | 3.3 | 2.2 |
| 10.12 ჰალი-კრ.პალასი | 3.4 | 3.25 | 2.3 |
| 10.12 სუონსი-სანდერლენდი | 2.1 | 3.5 | 3.6 |
| 10.12 არსენალი-სტოკი | 1.36 | 5.0 | 9.0 |
| 10.12 ლესტერი-სიტი | 4.8 | 4.0 | 1.73 |
| 11.12 ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი | 1.25 | 6.0 | 11.3 |
| 11.12 საუთჰემპტონი-მიდლსბრო | 1.67 | 3.6 | 6.0 |
| 11.12 მანჩესტერი-ტოტენჰემი | 2.2 | 3.3 | 3.5 |
| 11.12 ლივერპული-ვესტ ჰემი | 1.30 | 6.0 | 9.5 |

**უოტფორდი-ევერტონი**

უოტფორდი: *ტრავმ*-იუნის ქაბული, კენედი

ევერტონი: *ტრავმ*-არავინ

**ბარნლი-ბორნმუთი**

ბარნლი: *ტრავმ*-იოან გუდმუნდსონი

ბორნმუთი: *ტრავმ*-ენდრიუ სარმანი, სტივ კუკი

**ჰალი-კრ.პალასი**

ჰალი: *ტრავმ*-უილიამ კეინი

კრ.პალასი: *ტრავმ*-სტივ მანდადა, კრისტიან ბენტეკე, პაპე სუარე

**სუონსი-სანდერლენდი**

სუონსი: *ტრავმ*-კი სუნ-იუნი

სანდერლენდი: *ტრავმ*-პადი მაკნაირი, ლი კატერმოლი, ფაბიო ბორინი

**არსენალი-სტოკი**

არსენალი: *ტრავმ*-სანტი კაზორლა, ექტორ ბერელინი, პერ მერტეზაკერი, დენი უელბეკი

სტოკი: *ტრავმ*-ფილიპ ბიორდსლი, იბრაჰიმ აფელაი

**ლესტერი-სიტი**

ლესტერი: *ტრავმ*-კასპერ შმეიხელი

სიტი: *ტრავმ*-ვინსენტ კომპანი

**ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი**

ჩელსი: *ტრავმ*-არავინ

ვესტ ბრომვიჩი: *ტრავმ*-საიდო ბერაინო

**საუთჰემპტონი-მიდლსბრო**

საუთჰემპტონი: *ტრავმ*-მატ ტაგერტი, ჯერემი პიდი

მიდლსბრო: *ტრავმ*-ჯორჯ ფრინდი

**მანჩესტერი-ტოტენჰემი**

მანჩესტერი: *ტრავმ*-კრის სმოლინგი, ერიკ ბალეი

ტოტენჰემი: *ტრავმ*-ბენ დევისი, ერიკ ლამელა

**ლივერპული-ვესტ ჰემი**

ლივერპული: *ტრავმ*-ფელიპე კოუტინიუ, დანიელ სტარიჯი

ვესტ ჰემი: *ტრავმ*-აარონ კრესველი, დიაფრა სახო, გოკჰან ტორე, სემ ბაირამი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 14 | 11 | 1 | 2 | 32-11 | 34 |
| 2.არსენალი | 14 | 9 | 4 | 1 | 33-14 | 31 |
| 3.ლივერპული | 14 | 9 | 3 | 2 | 35-18 | 30 |
| 4.სიტი | 14 | 9 | 3 | 2 | 30-15 | 30 |
| 5.ტოტენჰემი | 14 | 7 | 6 | 1 | 24-10 | 27 |
| 6.მანჩესტერი | 14 | 5 | 6 | 3 | 19-16 | 21 |
| 7.ვესტ ბრომვიჩი | 14 | 5 | 5 | 4 | 20-17 | 20 |
| 8.ევერტონი | 14 | 5 | 5 | 4 | 17-16 | 20 |
| 9.სტოკი | 14 | 5 | 4 | 5 | 16-19 | 19 |
| 10.ბორნმუთი | 14 | 5 | 3 | 6 | 19-22 | 18 |
| 11.უოტფორდი | 14 | 5 | 3 | 6 | 18-24 | 18 |
| 12.საუთჰემპტონი | 14 | 4 | 5 | 5 | 13-15 | 17 |
| 13.მიდლსბრო | 14 | 3 | 6 | 5 | 13-15 | 15 |
| 14.კრ.პალასი | 14 | 4 | 2 | 8 | 24-26 | 14 |
| 15.ბარნლი | 14 | 4 | 2 | 8 | 12-23 | 14 |
| 16.ლესტერი | 14 | 3 | 4 | 7 | 17-24 | 13 |
| 17.ვესტ ჰემი | 14 | 3 | 3 | 8 | 15-29 | 12 |
| 18.სანდერლენდი | 14 | 3 | 2 | 9 | 14-24 | 11 |
| 19.ჰალი | 14 | 3 | 2 | 9 | 11-29 | 11 |
| 20.სუონსი | 14 | 2 | 3 | 9 | 16-31 | 9 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 10.12 ოსასუნა-ბარსელონა | 13.0 | 7.5 | 1.2 |
| 10.12 სოსიედადი-ვალენსია | 2.0 | 3.6 | 3.8 |
| 10.12 ლას პალმასი-ლეგანესი | 1.8 | 3.75 | 4.6 |
| 10.12 რეალი-დეპორტივო | 1.1 | 10.0 | 23.0 |
| 11.12 ეიბარი-ალავესი | 1.91 | 3.4 | 4.5 |
| 11.12 სელტა-სევილია | 2.75 | 3.4 | 2.6 |
| 11.12 ესპანიოლი-ხიხონი | 1.73 | 3.6 | 5.5 |
| 11.12 ბეტისი-ბილბაო | 3.1 | 3.25 | 2.45 |
| 12.12 ვილიარეალი-ატლეტიკო | 4.5 | 3.4 | 1.91 |

**ოსასუნა-ბარსელონა**

ოსასუნა: *ტრავმ*-დიდიე დიუგარი, ხავიერ ფლანო

ბარსელონა: *ტრავმ*-ჯერემი მატიე

**სოსიედადი-ვალენსია**

სოსიედადი: *ტრავმ*-რუბენ პადრო, მარკელ ბერგარა

ვალენსია: *ტრავმ*-ენცო პერესი, ლუიშ ნანი

**ლას პალმასი-ლეგანესი**

ლას პალმასი: *ტრავმ*-დანიელ კასტელანო

ლეგანესი: *ტრავმ*-ჯონ ანდერ სერანტესი, რობერტ იბანესი, ალექსანდერ შიმანოვსკი, დიეგო რიკო, ადრიან მარინი, კონე

**რეალი-დეპორტივო**

რეალი: *ტრავმ*-დანილო, გარეთ ბეილი, ალვარო მორატა, ტონი კროოსი

დეპორტივო: *ტრავმ*-ბრუნო გამა, ლაურე

**ეიბარი-ალავესი**

ეიბარი: *ტრავმ*-არავინ

ალავესი: *ტრავმ*-არავინ

**სელტა-სევილია**

სელტა: *ტრავმ*-კარლეს პლანასი

სევილია: *ტრავმ*-სერხიო ესკუდერო, დანიელ კარიკო, სამირ ნასრი, კარლოს ფერნანდესი, მაიკლ კრონდელი, ბენუა ტრემულანისი

**ესპანიოლი-ხიხონი**

ესპანიოლი: *ტრავმ*-მარკ როკა

ხიხონი: *ტრავმ*-დანიელ ნდი

**ბეტისი-ბილბაო**

ბეტისი: *ტრავმ*-კრისტიანო პიცინი, ჩარლი მუსონდა

ბილბაო: *ტრავმ*-მიკელ რიკო, ოსკარ დე მარკოსი

**ვილიარეალი-ატლეტიკო**

ვილიარეალი: *ტრავმ*-ალფრედ ნდიაე, ბრუნო, დენის ჩერიშევი

ატლეტიკო: *ტრავმ*-ფერნანდო ტორესი, აუგუსტო ფერნანდესი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 14 | 10 | 4 | 0 | 37-12 | 34 |
| 2.ბარსელონა | 14 | 8 | 4 | 2 | 34-15 | 28 |
| 3.სევილია | 14 | 8 | 3 | 3 | 25-20 | 27 |
| 4.ატლეტიკო | 14 | 7 | 4 | 3 | 28-11 | 25 |
| 5.ვილიარეალი | 14 | 6 | 5 | 3 | 19-10 | 23 |
| 6.სოსიედადი | 14 | 7 | 2 | 5 | 23-19 | 23 |
| 7.ბილბაო | 14 | 7 | 2 | 5 | 20-17 | 23 |
| 8.ეიბარი | 14 | 6 | 3 | 5 | 21-19 | 21 |
| 9.სელტა | 14 | 6 | 3 | 5 | 24-26 | 21 |
| 10.ლას პალმასი | 14 | 5 | 5 | 4 | 25-22 | 20 |
| 11.მალაგა | 14 | 5 | 5 | 4 | 23-21 | 20 |
| 12.ესპანიოლი | 14 | 4 | 7 | 3 | 17-17 | 19 |
| 13.ალავესი | 14 | 4 | 5 | 5 | 14-17 | 17 |
| 14.ბეტისი | 14 | 4 | 3 | 7 | 17-28 | 15 |
| 15.ლეგანესი | 14 | 4 | 2 | 8 | 11-25 | 14 |
| 16.დეპორტივო | 14 | 3 | 4 | 7 | 18-24 | 13 |
| 17.ვალენსია | 14 | 3 | 3 | 8 | 19-26 | 12 |
| 18.ხიხონი | 14 | 3 | 3 | 8 | 15-28 | 12 |
| 19.გრანადა | 14 | 1 | 5 | 8 | 13-30 | 8 |
| 20.ოსასუნა | 14 | 1 | 4 | 9 | 13-29 | 7 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 10.12 ინგოლშტადი-ლაიპციგი | 4.8 | 3.6 | 1.8 |
| 10.12 ჰამბურგი-აუგსბურგი | 2.3 | 3.3 | 3.3 |
| 10.12 ფრაიბურგი-დარმშტადი | 1.7 | 3.75 | 5.5 |
| 10.12 ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1.14 | 8.0 | 21.0 |
| 10.12 კიოლნი-დორტმუნდი | 5.5 | 4.33 | 1.6 |
| 10.12 ჰერტა-ვერდერი | 1.75 | 3.8 | 4.8 |
| 11.12 გლადბახი-მაინცი | 1.73 | 4.0 | 4.8 |
| 11.12 შალკე-ლევერკუზენი | 2.37 | 3.4 | 3.1 |

**ინგოლშტადი-ლაიპციგი**

ინგოლშტადი: *ტრავმ*-რომან ბრეგერიე

ლაიპციგი: *ტრავმ*-კირიაკოს პაპადოპულოსი, მარვინ კომპერი, ბერნარდო, ლუკას კლოსტერმანი

**ჰამბურგი-აუგსბურგი**

ჰამბურგი: *ტრავმ*-ალენ ჰალილოვიჩი, კლებერი, ემირ სპაჰიჩი, რენე ადლერი

აუგსბურგი: *ტრავმ*-რაულ ბობადილა, კოო ჯა-ჩეოლი, ალფრედ ფინბოგასონი, კაიბუ, რაფაელ ფლამბერგერი

**ფრაიბურგი-დარმშტადი**

ფრაიბურგი: *ტრავმ*-გეორ ნიდერმაიერი, ქარიმ გუედე, მაქსიმილიან ფილიპი

დარმშტადი: *ტრავმ*-იმანუელ ჰონი, იან როზენტალი

**ბაიერნი-ვოლფსბურგი**

ბაიერნი: *ტრავმ*-ჰოლგერ ბადშტურბერი, ხაბი ალონსო, კინგსლი კომანი

ვოლფსბურგი: *ტრავმ*-არავინ

**კიოლნი-დორტმუნდი**

კიოლნი: *ტრავმ*-მატიას ლემანი, ტიმო ჰორნი, დომენიკ მარო, ლეონარდო ბიტენკურტი

დორტმუნდი: *ტრავმ*-რომან ბურკი

**ჰერტა-ვერდერი**

ჰერტა: *ტრავმ*-მიშელ ვაიზერი

ვერდერი: *ტრავმ*-სანტიაგო გარსია, ფლორიან გრილიჩი, ფალოუ დიანე, სამბი იატარაბე, მაქსიმილიან ეგეშტეინი, ლუკა კალდიროლა

**გლადბახი-მაინცი**

გლადბახი: *ტრავმ*-იბრაჰიმ ტრაორე, პატრიკ ჰერმანი, ნიკო შულცი

მაინცი: *ტრავმ*-იოშინორი მუტო, კრისტიან კლემენსი

**შალკე-ლევერკუზენი**

შალკე: *ტრავმ*-ფრანკო დი სანტო, კლაას-იან ჰუნტელაარი, ბრეელ ემბოლო

ლევერკუზენი: *ტრავმ*-ადმირ მეჰმედი, კევინ ვოლანდი, ლარს ბენდერი, ქარიმ ბელარაბი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიპციგი | 13 | 10 | 3 | 0 | 29-11 | 33 |
| 2.ბაიერნი | 13 | 9 | 3 | 1 | 29-9 | 30 |
| 3.ჰერტა | 13 | 8 | 3 | 2 | 22-13 | 27 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 13 | 6 | 7 | 0 | 25-14 | 25 |
| 5.აინტრახტი | 13 | 7 | 4 | 2 | 19-11 | 25 |
| 6.დორტმუნდი | 13 | 7 | 3 | 3 | 31-15 | 24 |
| 7.კიოლნი | 13 | 6 | 4 | 3 | 18-12 | 22 |
| 8.შალკე | 13 | 5 | 2 | 6 | 18-15 | 17 |
| 9.ლევერკუზენი | 13 | 5 | 2 | 6 | 20-21 | 17 |
| 10.მაინცი | 13 | 5 | 2 | 6 | 23-25 | 17 |
| 11.ფრაიბურგი | 13 | 5 | 1 | 7 | 17-25 | 16 |
| 12.აუგსბურგი | 13 | 3 | 5 | 5 | 11-15 | 14 |
| 13.გლადბახი | 13 | 3 | 4 | 6 | 13-22 | 13 |
| 14.ვერდერი | 13 | 3 | 2 | 8 | 17-32 | 11 |
| 15.ვოლფსბურგი | 13 | 2 | 4 | 7 | 12-18 | 10 |
| 16.დარმშტადტი | 13 | 2 | 2 | 9 | 11-26 | 8 |
| 17.ჰამბურგი | 13 | 1 | 4 | 8 | 10-27 | 7 |
| 18.ინგოლშტადტი | 13 | 1 | 3 | 9 | 10-24 | 6 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 10.12 კროტონე-პესკარა | 2.5 | 3.4 | 2.9 |
| 10.12 სამპდორია-ლაციო | 3.1 | 3.4 | 2.37 |
| 11.12 კალიარი-ნაპოლი | 6.0 | 4.2 | 1.57 |
| 11.12 პალერმო-კიევო | 2.9 | 3.2 | 2.62 |
| 11.12 ატალანტა-უდინეზე | 1.75 | 3.75 | 5.0 |
| 11.12 ტორინო-იუვენტუსი | 4.5 | 3.6 | 1.85 |
| 11.12 ბოლონია-ემპოლი | 2.15 | 3.2 | 3.8 |
| 11.12 ინტერი-ჯენოა | 1.67 | 3.8 | 5.5 |
| 12.12 ფიორენტინა-სასუოლო | 1.6 | 4.0 | 6.0 |
| 12.12 რომა-მილანი | 1.67 | 4.2 | 5.0 |

**კროტონე-პესკარა**

კროტონე: *ტრავმ*-ალექსანდრ ტონევი, კლეიტონ მაჩადო

პესკარა: *ტრავმ*-უგო კამპანარო, ალექსანდრუ მიტრიტა, ანდრეა კოდა

**სამპდორია-ლაციო**

სამპდორია: *ტრავმ*-ჯაკოპო სალა, ემილიანო ვივიანო

ლაციო: *ტრავმ*-არავინ

**კალიარი-ნაპოლი**

კალიარი: *ტრავმ*-ლუკა ბირანტე, მარკო კაპუანო, ნიკოლა მურუ, ჟოაო პედრო, არტურ იონიტა

ნაპოლი: *ტრავმ*-არკადიუშ მილიკი

**პალერმო-კიევო**

პალერმო: *ტრავმ*-ბრუნო ენრიკე, სლობოდან რაიკოვიჩი

კიევო: *ტრავმ*-ანტონიო ფლორო ფლორესი

**ატალანტა-უდინეზე**

ატალანტა: *ტრავმ*-ეტრიტ ბერიშა, აბდულაიე კონკო

უდინეზე: *ტრავმ*-ევანდრო

**ტორინო-იუვენტუსი**

ტორინო: *ტრავმ*-ჯოელ ობი, ჯეზეპე ვივესი, კრისტიან მოლინარო

იუვენტუსი: *ტრავმ*-დანი ალვეში, ლეონარდო ბონუჩი, ანდრეა ბარძალი, მარკო პიაცა

**ბოლონია-ემპოლი**

ბოლონია: *ტრავმ*-ლუკა რიცო, სადიქ უმარი, სიმონე ვერდი

ემპოლი: *ტრავმ*-ფრედერიკ ვესელი

**ინტერი-ჯენოა**

ინტერი: *ტრავმ*-დევიდე სანტონი, გარი მედელი

ჯენოა: *ტრავმ*-ლეონარდო პავოლეტი

**ფიორენტინა-სასუოლო**

ფიორენტინა: *ტრავმ*-არავინ

სასუოლო: *ტრავმ*-მატეო პოლიტანო, დავიდე ბიონდინი, ალფრედ დანკანი, დომენიკო ბერარდი

**რომა-მილანი**

რომა: *ტრავმ*-მოჰამედ სალაჰი, ლეანდრო პარედესი, ალესანდრო ფლორენცი

მილანი: *ტრავმ*-ჯაკომო ბონავენტურა, მატიას ფერნანდესი, დავიდე კალაბრია, რიკარდო მონტოლივო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 15 | 12 | 0 | 3 | 32-13 | 36 |
| 2.რომა | 15 | 10 | 2 | 3 | 35-16 | 32 |
| 3.მილანი | 15 | 10 | 2 | 3 | 27-19 | 32 |
| 4.ნაპოლი | 15 | 8 | 4 | 3 | 27-15 | 28 |
| 5.ლაციო | 15 | 8 | 4 | 3 | 27-16 | 28 |
| 6.ატალანტა | 15 | 9 | 1 | 5 | 24-17 | 28 |
| 7.ტორინო | 15 | 7 | 4 | 4 | 31-19 | 25 |
| 8.ფიორენტინა | 14 | 6 | 5 | 3 | 22-16 | 23 |
| 9.სამპდორია | 15 | 6 | 4 | 5 | 19-20 | 22 |
| 10.ინტერი | 15 | 6 | 3 | 6 | 22-21 | 21 |
| 11.ჯენოა | 14 | 5 | 5 | 4 | 17-15 | 20 |
| 12.კალიარი | 15 | 6 | 2 | 7 | 23-32 | 20 |
| 13.კიევო | 15 | 5 | 4 | 6 | 14-16 | 19 |
| 14.უდინეზე | 15 | 5 | 3 | 7 | 19-23 | 18 |
| 15.სასუოლო | 15 | 5 | 2 | 8 | 20-26 | 17 |
| 16.ბოლონია | 15 | 4 | 4 | 7 | 14-22 | 16 |
| 17.ემპოლი | 15 | 2 | 4 | 9 | 7-24 | 10 |
| 18.პესკარა | 15 | 1 | 5 | 9 | 12-27 | 8 |
| 19.კროტონე | 15 | 1 | 3 | 11 | 12-29 | 6 |
| 20.პალერმო | 15 | 1 | 3 | 11 | 11-29 | 6 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 10.12 ბორდო-მონაკო | 3.4 | 3.4 | 2.1 |
| 10.12 ნანსი-ანჟე | 2.5 | 2.9 | 3.2 |
| 10.12 ლილი-მონპელიე | 2.05 | 3.1 | 4.0 |
| 10.12 ბასტია-მეცი | 1.95 | 3.25 | 4.2 |
| 10.12 ნანტი-კაენი | 2.05 | 3.1 | 4.0 |
| 10.12 ტულუზა-ლორიანი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 11.12 ლიონი-რენი | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 11.12 სტ.ეტიენი-გენგამი | 2.05 | 3.1 | 4.0 |
| 11.12 პსჟ-ნიცა | 1.35 | 5.0 | 8.5 |

**ბორდო-მონაკო**

ბორდო: *ტრავმ*-სედრიკ კარასკო, ტომას ტურე

მონაკო: *ტრავმ*-ბენჯამინ მენდი

**ნანსი-ანჟე**

ნანსი: *ტრავმ*-ერიკ კაბაკო

ანჟე: *ტრავმ*-დენის პეტრიჩი, ბილი კეტკეოპომპონე

**ლილი-მონპელიე**

ლილი: *ტრავმ*-ედერი, რიო მავუბა, რაიან მენდესი

მონპელიე: *ტრავმ*-ჟერომ რუსილონი, ენტონი ვანდენ ბურე, იაკუბა სილა, კაზიმირ ნინგა, ვილიამ რემი

**ბასტია-მეცი**

ბასტია: *ტრავმ*-ალექსანდერ ჯიკუ

მეცი: *ტრავმ*-ვინსენტ ტილი, ისმაილ სარი, მევლუთ ერდინჩი

**ნანტი-კაენი**

ნანტი: *ტრავმ*-არავინ

კაენი: *ტრავმ*-სიამ ბენ იუსეფი, ემანუელ იმოროუ, მუჰამადუ დაბო

**ტულუზა-ლორიანი**

ტულუზა: *ტრავმ*-ისა დიოპი, ოსკარ ტრეიო, ჯესი პი

ლორიანი: *ტრავმ*-მაიკლ კიანი, ბენჯამინ ჟანო

**ლიონი-რენი**

ლიონი: *ტრავმ*-ემანუელ მამანა

რენი: *ტრავმ*-მეჰდი ზეფანე, იოან გურკუფი, ვესლი საიდი, ედსონ მექსე, კლემენტ ჩანტომე

**სტ.ეტიენი-გენგამი**

სტ.ეტიენი: *ტრავმ*-არავინ

გენგამი: *ტრავმ*-არავინ

**პსჟ-ნიცა**

პსჟ: *ტრავმ*-არავინ

ნიცა: *ტრავმ*-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნიცა | 16 | 12 | 3 | 1 | 30-10 | 39 |
| 2.მონაკო | 16 | 11 | 3 | 2 | 49-16 | 36 |
| 3.პსჟ | 16 | 11 | 2 | 3 | 30-11 | 35 |
| 4.რენი | 16 | 8 | 3 | 5 | 18-19 | 27 |
| 5.გენგამი | 16 | 7 | 5 | 4 | 21-15 | 26 |
| 6.ლიონი | 15 | 8 | 1 | 6 | 28-18 | 25 |
| 7.ბორდო | 16 | 6 | 6 | 4 | 20-18 | 24 |
| 8.ტულუზა | 16 | 6 | 4 | 6 | 18-16 | 22 |
| 9.სტ.ეტიენი | 16 | 5 | 7 | 4 | 16-14 | 22 |
| 10.მარსელი | 16 | 5 | 6 | 5 | 16-17 | 21 |
| 11.ანჟე | 16 | 5 | 4 | 7 | 15-18 | 19 |
| 12.მონპელიე | 16 | 4 | 7 | 5 | 23-28 | 19 |
| 13.მეცი | 15 | 5 | 3 | 7 | 16-29 | 18 |
| 14.ლილი | 16 | 5 | 2 | 9 | 15-21 | 17 |
| 15.დიჟონი | 16 | 3 | 7 | 6 | 22-25 | 16 |
| 16.ნანსი | 16 | 4 | 4 | 8 | 12-22 | 16 |
| 17.კაენი | 16 | 4 | 3 | 9 | 16-30 | 15 |
| 18.ბასტია | 16 | 3 | 5 | 8 | 12-20 | 14 |
| 19.ნანტი | 16 | 3 | 4 | 9 | 9-26 | 13 |
| 20.ლორიანი | 16 | 3 | 3 | 10 | 16-29 | 12 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78. 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# ჭარბი წონის დასაკლებად ფსიქოლოგიური განწყობა უმთავრესია

ეკა ირემაშვილი

ჭარბი წონა XXI საუკუნის უმთავრესი პრობლემაა. ადამიანები სასურველი წონის მისაღწევად ათასგვარ დიეტებს, ვარჯიშებს და აკრძალვებს მიმართავენ.

წონის კორექციის ფსიქოლოგიური ცენტრის ფსიქოლოგი თამარ ლაფაჩი ირწმუნება, რომ ჭარბი წონის დასაკლებად უმთავრესი ფსიქოლოგიური განწყობაა.

**თამარ ლაფაჩი:**

– დღეისთვის უკვე ეპიდემიის სახე აქვს ჭარბ წონას, ყოველ მეორე-მესამე ადამიანს აქვს ზედმეტი 10 კილოგრამი, რომლის მოშორებაც სურს. ამ ჭარბი წონის მოსაშორებლად ადამიანები მარტივ გზებს ირჩევენ, რაც შემდეგ საკმაოდ ძვირი უჯდებათ, ამიტომ სჯობს მარტივ გზას არ მიმართონ და თავიდანვე სწორი ნაბიჯები გადადგან.

ჭარბი წონის დროს წამყვანი როლი ენიჭება ფსიქოლოგიურ განწყობას. ადამიანი სტრესში ვარდება, იმიტომ, რომ წონა აქვს, ან სტრესის გამო აქვს ძირითადად ჭარბი წონა – ეს ერთგვარი ჩაკეტილი მანკიერი წრეა.

სტრესული სიტუაციების დროს ადამიანი იწყებს არამიზნობრივად დიდი რაოდენობით საკვების გამოყენებას და ამის შედეგად იმატებს წონაში. შესაბამისად შემდეგ ჭარბწონიანობა აისახება მის ნერვულ სისტემაზე, უფუჭდება განწყობა, ექმნება სხვადასხვა ფსიქოლოგიური პრობლემები, განიცდის ჭარბწონიანობას როგორც ფიზიკურ ნაკლს და ა.შ.

***– ადამიანები ხშირად ამბობენ, როცა ვნერვიულობ, ვიწყებ უაზრო ჭამას და ეს მასუქებსო...***

– ორი მომენტია, რომლებიც აუცილებლად უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან. არის ჭარბწონიანობის პრობლემა, რის გამოც ექმნება ადამიანს ფსიქოლოგიური პრობლემები, უარყოფითი ცვლილებები, სტრესები, თავდაჯერებულობის ნაკლებობა კომპლექსების სახით და არის მეორე მომენტი – როდესაც სტრესულ სიტუაციაში ადამიანს აქვს ფსიქოლოგიური პრობლემები და ამის შედეგად იმატებს წონაში. ანუ თავდაპირველად აქვს ჭარბი წონა და ამიტომ უფუჭდება განწყობა, ან ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს და ამიტომ იწყებს ჭამას და გასუქებას.

***– სტატისტიკურად ამ ორი ფაქტორიდან რომელი სჭარბობს?***

– ორივე მდგომარეობა ერთმანეთიდან გამომდინარეობს, ძალიან რთულია რომელმა გადაწყვიტა წონის მატება, ფსიქოლოგიურმა პრობლემებმა, თუ ადამიანს ბავშვობიდანვე აქვს მიდრეკილება ჭარბი წონისადმი, გაძლიერებული მადა აქვს და ამიტომ სუქდება. ერთმანეთისგან გამომდინარეობს ეს ორივე საკითხი.

***– რა როლს თამაშობს ფსიქოლოგი ამ შემთხვევაში?***

– წონის დაკლების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რაზე უნდა იმუშაოს ფსიქოლოგმა. ის რომ ყოველდღიური ფსიქოლოგიური პრობლემები მოაგვაროს ადამიანმა და ამის შედეგად შეწყვიტოს გაძლიერებულად საკვების მოხმარება, თუ ჯერ დაიკლოს წონაში და მერე ის პრობლემებიც მოუგვარდება, რაც ჭარბი წონის შედეგად აქვს.

ახალგაზრდა ჭარბწონიან გოგონებს ხშირად აქვთ ხოლმე საკუთარ თავთან პრობლემები, არიან დაკომპლექსებული, ურთიერთობებში აქვთ პრობლემები, აკლიათ თავდაჯერება, დაბალი თვითშეფასება და ექმნებათ პრობლემები. ასეთ შემთხვევაში უშუალოდ წონის დაკლებაზეა მუშაობა საჭირო, რომ შემდეგ ფსიქოლოგიური პრობლემებიც მოგვარდეს – თავდაჯერებული გახდეს ადამიანი, დაიკლოს წონაში და ა.შ.

მოდიან ისეთი პაციენტებიც, რომლებსაც აქვთ ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებული სტრესული სიტუაციები და აღნიშნავენ, რომ გაგიჟებულები მოიხმარენ საკვებს და გაძლიერებული მადა აქვთ. ასეთ ადამიანს წონა მაინცდამაინც არ აწუხებთ, როგორც წესი, მცირე წონაა დასაკლები 10-15 კილოგრამია ზედმეტი, რომლის მატებაც სწრაფად მოხდა. ასეთ შემთხვევაში ფსიქოლოგის ჩართვაა საჭირო და სწორი მიმართულების მიცემა, ანუ ჯერ ყოველდღიურ პრობლემებში გარკვევა და დაძლევა, რომელიც იწვევს საკვების გაძლიერებულ მიღებას.

***– როცა თქვენ მოგმართავენ, ადამიანები მომზადებულები არიან, რომ ფსიქოლოგიური განწყობა მათ წონაზე მოქმედებს? იმიტომ, რომ ხშირად მათ მხოლოდ დიეტოლოგები აინტერესებთ...***

– ჩვენი ფსიქოლოგიური ცენტრი ჭარბი წონის კორექციისა, ისეთი წერტილია, საბოლოო ჯამში და ბოლო ცდაზეც რომ მიმართავს ადამიანი. ყველაფერს რომ დატესტავენ, ყველანაირ დიეტას რომ დაიცავენ, ყველანაირ ექსპერიმენტს რომ ჩაატარებენ საკუთარ თავზე, მერე მოდიან ჩვენთან. ისინი ხვდებიან, რომ ეს არ არის მხოლოდ კვების მოწესრიგების პრობლემა და არის უფრო ღრმა ფსიქოლოგიური პრობლემა, რომელსაც აუცილებლად სჭირდება მუშაობა. როცა უკვე მოაკითხავს ჩვენს ცენტრს ადამიანი, ინფორმირებულიც არის, რა ტიპის მუშაობა წავა მასთან.

ჩვენთან საკვებზე დამოკიდებულებაზე მუშაობა ხდება, რომ ადამიანმა შეიცვალოს დამოკიდებულება საკვებთან და ამის შედეგად დაიკლოს არასასურველი კილოგრამები.



***– ჭარბი კილოგრამების დაკლების შემდეგ სასურველი წონის შენარჩუნება სამუდამოდ შესაძლებელია?***

– ვერ გეტყვით, რომ სამუდამოდ, რადგან ჭარბწონიანი ადამიანი მაინც მიდრეკილია რეციდივისკენ, ანუ შესაძლებელია, დაკლების შემდეგ ისევ მოიმატოს, მაგრამ ფსიქოლოგიური მიდგომით უფრო მტკიცე და ხანგრძლივი ეფექტი გვაქვს ხოლმე.

ყველაზე დიდი მინუსი აქვს მტანჯველ დიეტებს, ის, რომ ეს არის დროებითი ეფექტი, რომლის დასრულებასაც ელოდება ადამიანი. ერთი სული აქვს დასრულდეს დიეტა, რომ ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდეს. ფსიქოლოგიური მუშაობა სწორედ იმაზეა მიმართული, რომ ამას არ ჰქონდეს ერთჯერადი ეფექტი და სამუდამოდ შეიცვალოს დამოკიდებულება საკვების მიმართ და გამოიყენოს მაშინ, როდესაც მართლა შია და არა მაშინ, როდესაც ცუდად არის და ცუდ განწყობაზეა. ყველაზე რთული ფსიქოლოგიური მუშაობაა ადამიანებთან.

ყოველდღიურ ცხოვრებაში კვების მოწესრიგება არის ყველაზე მარტივი ჩვენი მეთოდით. ჩვენთან არ არსებობს აკრძალვები, კვების რაციონში ჩვენთან ყველაფერი რჩება – ხინკალი, მწვადი, ტკბილეული, მაგრამ რჩება ნორმალიზებული რაოდენობით. გაცილებით რთულია ფსიქოლოგიური დამოკიდებულების შეცვლა. მთავარია, სტრესის დროს ისევ საკვებთან არ გაიქცნენ, ეს ყველაზე ძნელად მიღწევადია.

***– კომპიუტერთან ან ტელევიზორთან კვება რამდენად საზიანოა?***

– ესეც ფსიქოლოგიური მომენტია. ეს არის მავნე კვებითი ჩვევა, რომლის შემთხვევაშიც ცნობიერება არ მონაწილეობს, ეს არის მექანიკური, გაუაზრებელი ქმედება, როდესაც ადამიანი არ ფიქრობს, რას აკეთებს, სხვა საქმიანობით არის მოცული და პარალელურად მიირთმევს რაღაცას. გონება ვერ აფიქსირებს და ვერც კმაყოფილებას იღებს ამით. რაღაც გარკვეული პერიოდი გადის, ადამიანი ისევ საკვებთან მიდის და ასე გრძელდება უსასრულოდ. ეს არ არის ემოციური ფაქტორი, ეს არის მავნე კვებითი ჩვევა, რომელსაც ჯერ გაცნობიერება სჭირდება ან პირდაპირ უნდა აუკრძალოს ადამიანმა საკუთარ თავს – კითხვის დროს არ ჭამოს, ტელევიზორთან არ ჭამოს, მუსიკის მოსმენის დროს არ ჭამოს, კომპიუტერთან არ ჭამოს, მეცადინეობის დროს არ ჭამოს და ა.შ. ერთი საქმის კეთებით უნდა იყოს გონება დაკავებული, ისევე, როცა ადამიანს შია და ჭამის დროს ამის მეტს ვერაფერს ვერ იზამს, ასე უნდა ხდებოდეს ტელევიზორის ყურების, ან კითხვის პერიოდში. რომ დავუკვირდეთ, როცა გონება სხვა რეჟიმში მუშაობს, კვება რა შუაშია? ეს მავნე ჩვევაა და მეტი არაფერი.

***– ბულიმია და ანორექსია რა ტიპის ადამიანებს ემართებათ?***

– ეს კვებითი აშლილობაა, ოღონდ ფსიქიატრიულ ჭრილში. უფრო სერიოზული პრობლემაა, ვიდრე მარტივი ემოციური დისბალანსი. ამ დროს ადამიანს აქვს ფსიქიკური პრობლემები, რომლებიც საკვებთან მიმართებაში დამოკიდებულებაში გამოიხატება. ამას სჭირდება ფსიქიატრიული მკურნალობა, ჩარევა პრეპარატების სახით. უკეთესი ეფექტი აქვს, როდესაც კომპლექსურად მუშაობენ ასეთ ავადმყოფებთან სხვადასხვა სპეციალისტები ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, კვებითი სპეციალისტები. მცირედი შემთხვევები არის, როდესაც ძალიან გატანჯული დიეტების ფონზე ადამიანმა, რომელსაც ხშირი გამოცდილება აქვს წლების მანძილზე წონის კლების და მატების, შესაძლებელია მიაღწიოს ისეთ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომელმაც ძლიერი დარღვევები გამოიწვიოს ფსიქიკაში და ჩამოყალიბდეს ისეთი დაავადებები, როგორიც არის ანორექსია და ბულიმია.

ბულიმია ეს არის უკონტროლო კვება, როდესაც ადამიანი გაუაზრებლად დიდი რაოდენობით მიირთმევს საკვებს და შემდეგ მიმართავს კუჭის გათავისუფლებას. ანორექსია კი ეს არის დაავადება, როდესაც ორგანიზმი აღარ იღებს საკვებს, ანუ ჭამს ადამიანი, მაგრამ პირღებინების სახით საბოლოო ჯამში ადამიანი მიდის გამოფიტვამდე.

***– რა რეკომენდაციებს მისცემთ ჭარბწონიან ადამიანებს?***

– პირველ რიგში, აკონტროლონ საკუთარი თავი. არა შეზღუდვების და აკრძალვების სახით, უბრალოდ, იზრუნონ საკუთარ თავზე და ყურადღება მიაქციონ, გადახედონ საკუთარ კვებით ქცევებს. არის შემთხვევები, როცა ნელ-ნელა შემოპარულ კილოგრამებს ადამიანი ვერ ამჩნევს და საბოლოოდ მიდის ძალიან დიდ წონამდე, მაგალითად, 100 კილო და მასზე მეტი. აქამდე რომ არ მივიდეს ადამიანი, აუცილებელია, ჩუმად შემოპარულ კილოგრამებს მიაღწიოს ყურადღება. თუ გასულ წელთან შედარებით ადამიანი წელს არის 3 ან 4 კილოგრამით მეტი, უკვე რაღაც ზომების მიღებაა საჭირო. წლის განმავლობაში მომატებული 3-4 კილოგრამი ჭარბია. ფიზიოლოგიის თვალსაზრისით, დაახლოებით 3-4 წელიწადში 2 კილოგრამის ცვლილება უნდა ხდებოდეს, ან იმატებენ, ან იკლებენ ადამიანები.

არავითარ შემთხვევაში არ მიმართონ თვითნებურ დიეტებს და აკრძალვებს, ეს არის მათი დამღუპველი ნაბიჯი, რომელიც შეიძლება ადამიანმა გადადგას. დაუსრულებელი კლება-მატება ნერვულ სისტემას აზიანებს.

აუცილებელია აკონტროლოს დამოკიდებულება საკვებთან, მიაქციოს ყურადღება თუ ემოციურ ფონზე იღებს საკვებს, თუ სტრესი აქვს და უჩნდება ტკბილის მიღების სურვილი, შესაბამის სპეციალისტს მიმართოს, ეს ძირითადად არის ფსიქოლოგი. მარტივად რომ დავუფიქრდეთ, როცა სტრესი მაქვს, რა შუაშია საკვები?

ყველაზე მთავარი მაინც არის ის, რომ როცა არის პრობლემა, რომელსაც მოგვარება სჭირდება, ასეთ შემთხვევაში დიდ როლს ასრულებს მოტივაცია, ანუ რამდენად სურს დაიკლოს წონაში. არის ასევე შემთხვევა, როდესაც ადამიანს არ აქვს ჩამოყალიბებული პრობლემა ჭარბი წონის სახით, მაგრამ აქვს ნიშნები. ასეთ დროს საკუთარი თავის მიმართ ყურადღების გამოჩენაა, გაუფრთხილდეს საკუთარ ჯანმრთელობას და არ დაიზიანოს.



# გიორგი ჭიაბრიშვილი: „10-გუნდიან ჩემპიონატს დაძაბულობა და ინტერესი არ მოაკლდება“

ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტი გიორგი ჭიაბრიშვილი, რომელიც თბილისის საბურთალოს წვრთნის, საქართველოს საფეხბურთო გარდამავალ 28-ე ჩემპიონატზე, თავის კლუბსა და სანაკრებო მუშაობაზე საუბრობს.

***– წლეულს პირველად ჩატარდა გარდამავალი ჩემპიონატი. რას იტყვით უკვე განვლილ პირველობაზე, გაამართლა?***

– 2-3 კლუბის გარდა, რომლებისთვისაც ჩემპიონატის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე გაირკვა, თუ რა მიზნებისთვის იბრძოლებდნენ მომავალში, გუნდებისთვის ბოლო ტურამდე გარკვეული არაფერი იყო. თითოეულ ქულას მართლაც რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მთლიანობაში ჩემპიონატმა გაამართლა.

რაც შეეხება მომავალ პირველობას, რომელიც 10-გუნდიანი იქნება, კიდევ უფრო დიდი იმედები მაქვს. 10 გუნდი ჩემპიონატში 36 მატჩს ჩაატარებს, ამ ყოველივეს კი დაძაბულობა და ინტერესი არ მოაკლდება. ვფიქრობ, თამაშის ხარისხიც გაიზრდება. დადებითი მხარე იქნება ისიც, რომ ჩვენი გუნდები ევროტურნირებს მზადყოფნაში შეხვდებიან, რადგან საქართველოში ივლის-აგვისტოში შუა სეზონი იქნება.

***– თავად საბურთალოსთვის სეზონს როგორ შეაფასებდით? გუნდმა ბრინჯაოს ფინალში მოსახვედრად იბრძოლა.***

– დადებითად. ჩემი ხელმძღვანელობით კლუბმა 5 თამაში ჩაატარა და 10 ქულა მოიპოვა. მანამდეც, როდესაც გუნდს პაბლო მარტინი ხელმძღვანელობდა და ახლაც, კლუბში დიდი შრომა ჩაიდო. ვგულისხმობ როგორც სამწვრთნელო შტაბს, ასევე კლუბის ხელმძღვანელებსა და ფეხბურთელებს. შესაძლებელი იყო, რომ პლეი-აუტის მატჩები გვეთამაშა, მაგრამ, მოხდა ისე, რომ ევროპა ლიგის საგზურისთვის ვიბრძოლეთ. უშუალო კონკურენტებთან ქულების მოპოვება შევძელით და ბოლო მატჩებში თამაშს განსაკუთრებით მოვუმატეთ.

***– თბილისის დინამოსთან პლეი-ოფის მატჩებზე რას იტყვით? შეიძლებოდა ამ ბარიერის დაძლევა?***

– დინამოს სახით რთული მოწინააღმდეგე გვერგო, მაგრამ ამით არ შევშინებულვართ. ერთია, მატჩები ჩვენთვის უიღბლო აღმოჩნდა, არ გაგვიმართლა. 2 მატჩიდან გამომდინარე ვიმსახურებდით შემდეგ ეტაპზე გასვლას.

***– თქვენს სამომავლო გეგმებზე რას იტყვით, დარჩებით საბურთალოში?***

– ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით, რადგან ჯერჯერობით პასუხი არა მაქვს. უახლოეს დღეებში შევხვდები საბურთალოს ხელმძღვანელებს, ასევე ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს და საბოლოოდ გადავწყვეტ, სად და როგორი ფორმით გავაგრძელებ მუშაობას.

მიხეილ ყორყოლიანი




დაბადების დღეს ვულოცავ და დიდ სიყვარულსა და
პატივისცემას გამოვხატავ თბილისის კოლორიტის,
ჩემი უფროსი ძმისა და მეგობრის, მრავალი
ტიტულის მქონე უბადლო დასტაქრის, მრავალმხრივი
ნიჭით დაჯილდოებული კაცის

**გელა მუხაშავრიას**



მიმართ. ასევე მინდა, თბილისელებისა და არამარტო
მათ გასაგონად მადლობა გადავუხადო იმ
სიყვარულისა და თანადგომისათვის, რასაც იგი
იჩენს ჩუბინიძეების დიდი ოჯახის მიმართ ათეული
წლების განმავლობაში.
ღმერთმა შენი თავი ნუ მოგვიშალოს, ჩემო გელა!
*პატივისცემით, ნანა ჩუბინიძე*

# TV პროგრამა



## ორშაბათი 12 დეკემბერი

07.00 დ/ფ "აშენე უფრო დიდი" 08.00 "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 08.30 დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 დ/ფ "ჟან-პოლ გოტიე" 12.30 "სპორტის დაფა" 12.45 "კაცების დრო" 13.45 "ტელემანი" 14.00 "გურმანია" 14.30 "სიტყვების თამაში" 15.00 უეფას ჩემპიონთა ლიგის პლეიოფში მონაწილე გუნდების კენჭისყრა (ნიონიდან) 15.35 სპორტული გადაცემა 16.30 "ეკონომეტრი" 17.00 "რეალური სივრცე" 19.00 ტ/სერ. "ქედრის ყურე" 21.00 ტ/სერ. "შურისძიება" 22.00 "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად 22.30 "გამომძიებელი რეპორტიორი" 23.00 ტ/სერ. "ამერიკელები" 00.00 მხ/ფ "ზოროზევისა და ველების ქვეყანა" (ვ.ჰარელსონი) 02.00 "რეალური სივრცე" 03.00 "პირადი ექიმი"

